პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 22 სექტემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 220 (2263)

დღიური

— თავდასხმა ლიტვის ჯარისკაცებზე პოლონეთის საზღვარზე.
— ლატვიაში აკრძალეს დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის არსებობა.
— კომუნისტების გამარჯვება სენ-სირში (საფრანგეთი).
— საფეიქრო მრეწველობის მუშების გაფიცვა საფრანგეთში.
— 40.000 ფეიქარის გაფიცვა ლოძში (პოლონეთი).
— ლატვიის მთავრობამ უარი სთქვა პოლონეთიდან გამოქცეულ რუს თეთრგვარდიელთა მიღებაზე.
— ინგლისის პრემიერი ბოლდუინი პარიზში ჩავიდა.
— პოლონეთ - რუმინეთის სამხედრო მოლაპარაკება.

საკონტროლო მუშაობა საბჭოებში

(საკავშირო ცაკის მიმართვის გამო)

ცნობილია, რომ სისტემატიური და საქმიანი კონტროლი ერთი მთავარი პირობათაგანია დაწესებულება-ორგანიზაციის წარმატებითი მუშაობისათვის ჩვენ გვაქვს სახელმწიფო საკონტროლო ორგანოები. მათი მუშაობა მომეტებით ორგანიზაციული და ხელმძღვანელობითი ხასიათისაა. თავისთავად ცხადია, რომ ცენტრალური საკონტროლო ორგანოები ვერ გასწვდება ჩვენი სახელმწიფო აპარატის თვითეული უჯრედის სისტემატიურ რევიზიას და ზედამხედველობას. ამისათვის მოწოდებულნი არიან ადგილობრივი სარევიზიო კომისიები.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღემდე ადგილობრივ საკონტროლო ორგანოების მუშაობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საერთოდ გავრცელებულია შემცდარი შეხედულება, თითქოს სარევიზიო კომისიების მუშაობა ნაკლებად საპასუხისმგებლო იყვეს. ეს განწყობილება თავის კვალს აჩენს როგორც ადგილობრივ სარევიზიო კომისიების არჩევნების საქმეზე, ისე ამ კომისიათა მთელ შემდგომ საქმიანობაზე.

ამ მხრივ თემის და სოფლის საბჭოები გამონაკლისს არ შეადგენენ. ის ფაქტი, რომ სარევიზიო კომისიების მუშაობა აქაც სერიოზულად მოისუსტებს, დიდ უარყოფით გავლენას ახდენს საბჭოების მთელ საქმიანობაზე. საბჭოების სარევიზიო კომისიები რეგულიარულად არ მუშაობენ. მათი საქმიანობა ხშირად უფრო შემთხვევითი ხასიათს ატარებს. არის ამასთანავე ისეთი მაგალითებიც, როცა სარევიზიო კომისიების არსებობა აღინიშნება მათი ხელისმოწერით ამა თუ იმ დოკუმენტზე.

ეს ხდება მაშინ, როცა სარევიზიო ორგანოებს დაკისრებული აქვთ არა მარტო საკონტროლო, არამედ შემოქმედებითი ფუნქციებიც. საკმარისი არაა მხოლოდ ფაქტის აღნუსხვა, ამასთან ერთად საჭიროა გამოკვლეულ მუშაობიდან სათანადო დასკვნის გამოტანა და პრაქტიკულ რჩევა-დარიგებების მიცემა ამსრულებელ ორგანოებისადმი. იშვიათია ისეთი სარევიზიო კომისია, რომელიც ამ მოვალეობას ასრულებს. ამავე დროს კონტროლი ჩვენ გვჭირდება არა მარტო იმისათვის, რომ მან ხელი შეუშალოს რაიმე ბოროტმოქმედებას აპარატში, არამედ იმისათვისაც, რომ კონტროლის ენერგიულ მუშაობით გაძლიერებულ იქნას პასუხისმგებლობის გრძნობა და ინიციატივა საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საკავშირო ცაკის მიმართვა მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ცაკისადმი, სადაც ლაპარაკია ადგილობრივ საბჭოების სარევიზიო კომისიათა მუშაობის გაცხოველების აუცილებლობის შესახებ. საბჭოს არც ერთი დარგის საქმიანობა არ უნდა მიმდინარეობდეს სარევიზიო კომისიის აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ყველაზე მეტი ყურადღება სარევიზიო კომისიებმა უნდა მიაპყრან საბჭოების ფინანსიურ-სამეურნეო მოღვაწეობას. გარდა ამისა რომ ამ დარგში შედარებით უფრო შესაძლებელია ბოროტმოქმედებანი, რევიზიის მუდმივი თვალი აქ საჭიროა სხვა მხრივაც. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევითვისეთ მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინა. ბიუჯეტის დარღვევა, თანხების ერთი დანიშნულებიდან მეორეზე მოხმარება, წინასწარ ნავარაუდევ ხარჯების გადაჭარბება და სხვა თითქმის დაკანონებულ უკანონობას წარმოადგენს. სარევიზიო კომისიებს განსაკუთრებული მოვალეობა აწევთ იმ მხრივ, რომ საბიუჯეტო დისციპლინა მტკიცედ ტარდებოდეს. მართალია ბიუჯეტის დარღვევა ხშირად გამოწვეულია ეგრედ წოდებულ ობიექტიური პირობებით, როგორიცაა საერთო ფინანსიური ხელმოკლეობა, ზოგჯერ არაჩვეულებრივ მოულოდნელ ხარჯების გაწევა (სტიქიური უბედურებანი) და სხვა, მაგრამ ამას გარდა არის სხვა დამაბრკოლებელი მიზეზებიც, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი და აუცილებელიც არის. ბიუჯეტის მტკიცე შესრულების გარეშე წარმოუდგენელია ნორმალურ გეგმიან მუშაობაზე ლაპარაკი.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოების ფინანსიურ და სამეურნეო მოღვაწეობაში თვითდაბეგვრის საქმეს. სარევიზიო კომისიებს აქაც დიდი აქტივობა მართებთ. საჭიროა იმის შემოწმება, თუ რამდენად სწორად ნაწილდება სხვადასხვა დანიშნულებისამებრ თვითდაბეგვრით შეკრებილი საშუალებანი და რამდენად ნაყოფიერად იხარჯება ეს საშუალებანი.

საბჭოების დღევანდელი სარევიზიო კომისიები ბევრ და, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, უმეტეს შემთხვევაში ვერ ასრულებენ სათანადოთ ყველა ამ მოთხოვნილებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ სარევიზიო კომისიების არჩევნების დროს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება კანდიდატების გამოძებნას. სარევიზიო კომისიების დღევანდელი შემადგენლობა ბევრ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. ამას თან ერთვის ის გარემოება, რომ სარევიზიო კომისიების საქმიანობას შესაფერ ხელმძღვანელობას ვერ უწევენ სათანადო ცენტრალური ორგანოებიც.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. საკონტროლო მუშაობას საბჭოს საქმიანობაში თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეთმოს. ახლოვდება მორიგი საბჭოთა არჩევნები. სარევიზიო კომისიებს საბჭოსთან ერთად შეუხვდება ანგარიშით წარდგომა ამომრჩეველთა წინაშე. აუცილებელია მუშაობის გაცხოველება. სარევიზიო კომისიები უნდა გადაიქცნენ სოფლის ნამდვილ საზოგადო კონტროლის განხორციელებათ. ისინი უნდა შეიქნენ საბჭოების მასიური მუშაობის ძლიერ რეგულიატორათ. საკავშირო ცაკის მოწოდებაც აქეთკენ მოუხმობს რესპუბლიკანურ და ძირითად საბჭოთა ორგანიზაციებს.

ახალგაზრდათა კომინტერნის მეხუთე კონგრესი

მეხუთე კონგრესს თავისი მუშაობის შინაარსის სიმდიდრით, ეჭვს გარეშეა, პირველი ადგილი უჭირავს ახალგაზრდათა კომინტერნის ისტორიაში.

კონგრესს 40-ზე მეტი სექციის წარმომადგენელი დაესწრო. კონგრესის ყველა დელეგატის ენერგიულმა მუშაობამ, რომელიც რამდენიმე კვირა გაგრძელდა, ახალგაზრდათა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას მისცა ახალი იდეებისა და ახალი ენერგიის უდიდესი მარაგი და კრიტიკული ანალიზით გააშუქა მისი განვითარების გზები.

კონგრესმა კრიტიკულად განიხილა ყველა სექციის მუშაობა. დელეგატების უმრავლესობის კრიტიკული განწყობილება ზოგჯერ მეტისმეტად მკაცრი სჩანდა, მაგრამ საერთოდ ეს ყოველმხრივი შემოწმება დადებით ნაყოფს გამოიღებს.

თუ პირველმა და მეორე კონგრესებმა ახალგაზრდობის კომინტერნს მისცეს ძირითადი გეზი, როგორც ახალგაზრდობის ორგანიზაციას, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასების დაპყრობა, მეხუთე კონგრესი იმით არის დამახასიათებელი, რომ მან საფუძვლიანად გადასინჯა ახალგაზრ. კომუნისტური კავშირების მუშაობის ყველა მეთოდი და შეეცადა ამომწურავი პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, თუ რატომ დღემდე ვერ მოხერხდა განხორციელებულიყო მეორე კონგრესის მიერ დასახული ამოცანა, სახელდობრ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ახალგაზრდობის მასიური კომუნისტური მოძრაობის შექმნის ამოცანა.

კონგრესმა აღნიშნა, რომ ობიექტიურ მომენტებთან ერთად, რომლებიც აბრკოლებენ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების ზრდას (დევნა ბურჟუაზიის მხრივ, ბურჟუაზიის ფართო იდეოლოგიური მუშაობა ახალგაზრდობის შორის და სხვ.), ადგილი აქვს მრავალ სუბიექტიურ მომენტსაც (მუშაობის მეთოდები საკმაოდ არ არიან შეგუებული ახალგაზრდობის ფსიქოლოგიის გაგებასთან გამოყენებული არაა დამხმარე ორგანიზაციების სისტემა, საკმაო მუშაობა არ სწარმოებს მასიურ ორგანიზაციებში, არ არის კონცენტრაცია წარმოებებში მუშაობის დროს და სხვ.), რომელთა გამოსწორება სავსებით დამოკიდებულია თვით ორგანიზაციებზე. უნდა გამოყენებულ იქნას ახალგაზრდობის ყოველგვარი დამხმარე ორგანიზაცია, როგორც, მაგალითად, წითელი იუნგფრონტი გერმანიაში. დიდი პოლიტიკური კამპანიების ჩატარებასთან ერთად ახალგაზრდობა უნდა მიეჩვიოს ყოველდღიურ წვრილმან მუშაობას წარმოებებში. კონგრესმა სერიოზულად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის გაძლიერებას პროფკავშირებში და ჩვენი გავლენის გაძლიერებას ახალგაზრდობის სასპორტო ორგანიზაციებში.

კონგრესმა ყურადღებით შეამოწმა ახალგაზრდობის კომინტერნის მიღწევები და დეფექტები, კრიტიკულად გადაათვალიერა მისი მუშაობის მეთოდები და გადაჭრით უარჰყო იმ ამხანაგების „თეორიები“, რომლებსაც უტოპიურად მიაჩნიათ საკითხის ისე დასმა, რომ ახალგაზრდობის მასიური კომუნისტური მოძრაობა უნდა წარმოადგენდეს პროლეტარული ახალგაზრდობის მებრძოლ პოლიტიკურ მოძრაობას კაპიტალისტურ ქვეყნებში, და რომლებიც მზად არიან კომკავშირის ამოცანები შემოფარგლონ წმინდა კულტურული მუშაობით. კონგრესმა აგრეთვე უარჰყო იმ ამხანაგების „თეორიები“, რომლებსაც საჭიროდ მიაჩნიათ, რომ კომკავშირი დატოვებულ იქნას, როგორც მხოლოდ ზედაფენის ორგანიზაცია, როგორც რჩეულთა ორგანიზაცია.

კონგრესმა ახალგაზრდათა კომინტერნის ყველა სექციას დაუსახა კონკრეტული ამოცანა—მიაღწიოს გადამჭრელ გარდატეხას მუშაობაში, აწარმოოს ჭეშმარიტი ბოლშევიკური რევოლუციონური მასიური მუშაობა, ფართოდ გაავრცელოს თავისი გავლენა ახალგაზრდების მასებზე.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები ყოველ ქვეყანაში მომავალშიაც უნდა დარჩნენ მებრძოლი პოლიტიკურ ორგანიზაციებად, კომინტერნის საერთო ლოზუნგით უნდა იბრძოლონ ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, რომლებიც ამჟამად ღებულობენ უმთავრესად ლენინური ხაზიდან მემარჯვენე გადახრათა სახეს. კომუნისტურმა ინტერნაციონალმა აღნიშნა, რომ უახლოეს დროში მემარჯვენე საფრთხე წარმოადგენს კომუნისტური მოძრაობის მთავარ საფრთხეს, ამიტომ მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას ახალგაზრდობის კომინტერნიც პირველ რიგში უნდა აყენებდეს.

შემდეგ კონგრესმა საჭიროდ სცნო გაძლიერებული ყურადღება მიექცეს მშრომელი ახალგაზრდობის ყოველდღიური ინტერესების დაცვას ყველა დარგში. ამაში უნდა მდგომარეობდეს ახალგაზრდობის კომინტერნის სექციების „პოლიტიკა ახალგაზრდობის მიმართ“.

ჯამს ვუკეთებთ რა კონგრესის მუშაობას, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდობის კომინტერნის თითქმის ყველა ნაწილში უკვე შექმნილია წინასწარი პირობები გარდატეხის მისაღწევად მუშაობაში და შეგვიძლია დანამდვილებით მოველოდეთ, რომ მომავალში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები უფრო სწრაფად წავლენ წინ მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასების დასაპყრობად.

ამ მუშაობისათვის სულ უფრო და უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება. კონგრესის მუშაობამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობის როლი იზრდება როგორც წარმოებაში, ისე კლასობრივ ბრძოლაში და, ამასთან დაკავშირებით, იზრდება კომუნისტური კავშირების როლი მუშათა კლასის საერთო ბრძოლაში. მაგრამ ახალგაზრდობის როლის ზრდა აიხსნება მეორე მიზეზითაც — ომის რეალური საფრთხის თანდათან მოახლოვებით. კომინტერნის კონგრესმა ომის საკითხი დააყენა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ყურადღების ცენტრში. ომის საფრთხესთან ბრძოლის საკითხი უახლოეს დროში გახდება და უნდა გახდეს კიდეც კომპარტიის და კომკავშირის მუშაობის ცენტრალურ საკითხად ყველა ქვეყანაში. უკვე მარტო ეს წარმოადგენს ახალგაზრდობის მნიშვნელობის ზრდის პირობას, ვინაიდან მომავალი ომის ბედი უმთავრესად მშრომელი ახალგაზრდობის ხელით გადასწყდება. სწორედ ამიტომაც ბრძოლამ ახალგაზრდობისათვის, ბრძოლამ მისი კადრების დასაპყრობად, რომელიც სწარმოებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, არაჩვეულებრივად მწვავე ფორმები მიიღო.

ახალგაზრდობის კომინტერნმა გვიჩვენა, რომ ის წარმოადგენს რევოლუციონური ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ ორგანიზაციას და კომინტერნის ერთ-ერთ უერთგულეს რაზმს. კონგრესმა ჯამი გაუკეთა ჩინეთის კომკავშირის მიერ ამ რევოლუციონური ქარტეხილების დროს ჩატარებულ გმირულ რევოლუციონურ მუშაობას და დასახა მისი ბრძოლისა და მუშაობის უახლოესი კონკრეტული ამოცანები. ჩინეთის საკითხთან ერთად კონგრესმა დიდი ყურადღება მიაქცია ინდოეთის ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის საკითხს. უახლოეს დროში ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე წამოიჭრებიან კიდევ უფრო დიდი ამოცანები იმასთან დაკავშირებით, რომ თანდათან ახლოვდება ომის საფრთხე და სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან წინააღმდეგობანი იმპერიალისტების ბანაკში.

ახალგაზრდობის კომინტერნმა უნდა დარაზმოს მშრომელი ახალგაზრდობა იმპერიალისტურ ომთან საბრძოლველად, ამით მან უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასების დაპყრობა და კლასობრივ ბრძოლებში მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა.

კონგრესის მიერ დამუშავებულ მრავალ საკითხს შორის განსაკუთრებელი ადგილი უჭირავს პროგრამის მიღებას, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. კომკავშირელთა უაღრესად ფართო მასებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ პროგრამა, რომელიც ლენინიზმის ბრძოლის დროშას წარმოადგენს კომუნისტური ახალგაზრდობის ხელში.

თავისი გადაწყვეტილებებით მეხუთე კონგრესმა ახალი ძლიერი იარაღით აღჭურვა ახალგაზრდათა კომინტერნი და მსოფლიოს მთელი რევოლუციონური ახალგაზრდობა.

ამ იარაღის ბოლშევიკურად მოხმარება—აი ის ამოცანა, რომელიც სდგას ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა სექციის წინაშე.

„პრავდა“, 20 სექტემბერი.

ინგლისს სურს ჩაშალოს განიარაღების კონფერენცია

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია 1931 წელში იქნება მოწვეული

მუკდენის ჯარებმა გაანადგურეს ცზან-ჩუნ-ჩანის არმია.--იაპონელების თარეში შანდუნში

განიარაღების საკითხის გარშემო

გერმანიის წინადადება

ჟენევა, 20 სექტ. გერმანიის დელეგატმა ბერნსტორფმა ერთა ლიგის მესამე კომისიაში (რომელიც განიხილავს განიარაღებისა და უშიშროების საკითხებს) შეიტანა რეზოლიუციის პროექტი განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ. ბერნსტორფის პროექტში, განსხვავებით პოლ ბონკურის მიერ შეტანილი რეზოლიუციის პროექტისაგან, უშიშროების გარანტიათა შორის მოხსენებულია კელოგის ხელშეკრულებაც. ბერნსტორფის პროექტში აღნიშნულია, რომ განიარაღების მომავალმა კონფერენციამ უნდა დაადგინოს შეიარაღების შემცირება, რომელმაც „საგრძნობლად უნდა შეამოკლოს შეიარაღება“.

ბერნსტორფი ხაზს უსვამდა, რომ განიარაღების ტეხნიკური საკითხები უკვე განხილულია განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში და რომ შეთანხმება ამ საკითხებში არ არის მიღწეული მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის უთანხმოების გამო. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ ერთა ლიგის საბჭომ მთავრობებს მიმართოს ისეთი მოწოდებით, როგორსაც გულისხმობს პოლ ბონკურის მიერ შეტანილი წინადადება, ამასთანავე გამოარკვიოს დატა განიარაღების კონფერენციის მოწვევისა, რომელიც 1929 წლის განმავლობაში უნდა შესდგეს. ამავე დროს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს ლოუდენს უნდა მიეცეს უფლება შესაფერ მომენტში მოიწვიოს მოსამზადებელი კომისია კონფერენციის პროგრამის შესამუშავებლად. (ადს)

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევა გვიანდება

ჟენევა, 20 სექტემბერი მიუხედავად იმ ხანგრძლივი კამათისა, რომელიც სწარმოებდა ერთა ლიგის განიარაღებისა და უშიშროების კომისიაში, აგრეთვე მიუხედავად ამ კომისიის სარედაქციო კომიტეტის ხანგრძლივი თათბირისა, სარედაქციო კომიტეტმა ვერ გამოიმუშავა ყველასათვის მისაღები პროექტი რეზოლიუციისა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიისა და თვით კონფერენციის მოწვევის შესახებ.

მარცხის მთავარი მიზეზი არის შეურიგებლობა კუშენდენისა, რომელიც გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რომ დაახლოებით მაინც იქნეს განსაზღვრული მოსამზადებელი კომისიის მოწვევის ვადა.

პოლ ბონკურმა, რომელიც პირველ ხანს მომხრე იყო იმისა, რომ მოსამზადებელი კომისიის მოწვევა მომხდარიყო 1928 წლის ბოლოში ან 1929 წლის დასაწყისში, შემდეგ დაუთმო კუშენდენს და შესცვალა მის მიერ შეტანილი პროექტი რეზოლიუციისა. ახალი პროექტი მოსამზადებელი კომისიის მოწვევას აკუთვნებს ლოუდონს. მას ევალება წინასწარ შეუთანხმდეს იმ მთავრობებს, რომელთა შორისაც არსებობს ყველაზე მეტი უთანხმოება.

ბერნსტორფმა განაცხადა, რომ **გერმანიის დელეგაცია ვერც კომისიაში და ვერც ერთა ლიგის პლენუმში ვერ მისცემს ხმას ასეთ რეზოლიუციას.**

ასეთ შემთხვევაში პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუცია ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილებად, შეიძლება მხოლოდ სასარგებლოდ იქნეს აღიარებული მისი მიღება, ვინაიდან ისეთი რეზოლიუცია, რომელიც გადაწყვეტილების ხასიათს ატარებს, ერთხმად უნდა იქნეს მიღებული.

საფიქრებელია, რომ გერმანიის დელეგაციას მიემხრობიან ნორვეგიელები, უნგრელები და ზოგიერთ სხვა პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლები.

გერმანიის დელეგაცია აღნიშნავს, რომ, **პოლ ბონკურის ახალი პროექტის მიხედვით, მოსამზადებელი კონფერენციის მოწვევა შეიძლება დაგვიანდეს ვაშინგტონის კონვენციის (საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ) გადასინჯვამდე, ე. ი. 1931 წლამდე.**

წყალს ნაყავენ

ჟენევა, 20 სექტემბერი. რაც უფრო მეტად გრძელდება კამათი განიარაღებისა და უშიშროების კომისიაში, მით უფრო მეტად ძლიერდება აზრათა სხვადასხვაობა. როგორც ეტყობა, მეტ გავლენას ჰპოულობს საფრანგეთის დელეგაცია, რომლის პოზიციასაც მხარს უჭერენ,—თუმცა განსაზღვრულ ფარგლებში,—ჩეხო-სლოვაკია, იაპონია და იტალია. გერმანია სუსტ წინააღმდეგობას უწევს, კუშენდენი თავს იკავებს და, როგორც სჩანს, უცდის კამათის შედეგებს, ხოლო სკანდინავიის სახელმწიფოთა წარმომადგენლები აშკარად უკმაყოფილონი არიან. კამათი სწარმოებს უმთავრესად რეზოლიუციის იმ პროექტების გარშემო, რომლებიც გამოიმუშავეს, ერთის მხრივ, საფრანგეთის, ხოლო მეორეს მხრივ, გერმანიის დელეგაციებმა. გერმანიის წარმომადგენელი ბერნსტორფი მხარს უჭერს იმას, რომ რეზოლიუციაში მოიხსენიონ კელოგის პაქტი, მაგრამ წინააღმდეგია ბონკურის პროექტში მოხსენებული შემდეგი ფრაზისა: „კომისია კმაყოფილია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთმა მთავრობებმა მოახერხეს შეთანხმება წინასწარ ტეხნიკურ საკითხებში“.

ბერნსტორფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შეთანხმებათა შინაარსს არ იცნობს მთავრობათა დიდი უმრავლესობა.

ნორვეგიის წარმომადგენელი ლანგე უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ანგარიშს უწევენ მარტო დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ უთანხმოებებს და უყურადღებოდ სტოვებენ იმ პატარა სახელმწიფოების ინტერესებს, რომელთათვისაც განიარაღება არსებობის საკითხს წარმოადგენს, რადგან შეუჩერებელი ზრდა შეიარაღებისა ნიშნავს ახალი ომის მომზადებას, რაც საფრთხეს უმზადებს პატარა სახელმწიფოთა არსებობას. ლანგეს აზრით, კონფერენციის მოწვევის ვადის გარკვევით აღნიშვნა ძნელია. ბენეშიც წინააღმდეგია იმისა, რომ კონფერენციის მოწვევის გარკვეული ვადა აღინიშნოს.

ბონკური არ არის წინააღმდეგი იმისა, რომ რეზოლიუციაში მოხსენებული იყოს კელოგის პაქტი, მაგრამ ამავე დროს მან განზრახ არ მოიხსენია კელოგის პაქტი, რადგან „განიარაღების პრაქტიკულად განხორციელების დროს ანგარიში გაეწევა ფაქტიურ გარანტიებს და არა საზეიმო, თანაც ცოტაოდენ ბუნდოვან პაქტებს“. ბონკური არ არის იმის წინააღმდეგი, რომ კონფერენციის მოწვევის ვადა დაახლოვებით განისაზღვროს. ბონკური ეკამათება ბერნსტორფს და აცხადებს, რომ „წინასწარი ტეხნიკური შეთანხმებების“ მოხსენება აადვილებს მოლაპარაკებას მთავრობებს შორის.

ხელახლა გამოსული ბერნსტორფი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს კონფერენციის მოწვევის ვადის განსაზღვრას, რადგან მომზადებული კომისიის მოწვევა დამოკიდებულია მთავრობათა შორის შეთანხმებაზე. ბერნსტორფი აღნიშნავს, რომ თუ ასეთი შეთანხმება არ იქნება მიღწეული, თანაც არ იქნება მკაფიოდ განსაზღვრული კონფერენციის მოწვევის ვადა, მაშინ განიარაღების საკითხი ისევ დარჩება იმ უძრავ წერტილზე, რომელზედაც ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში იყო. ამასთან ბერნსტორფი აცხადებს, რომ ინსტრუქცია, რომელიც გერმანიის მთავრობამ გერმანიის დელეგაციას მისცა, ხაზს უსვამს კონფერენციის მოწვევის ვადის დანიშვნის აუცილებლობას.

კუშენდენმა არაფერი სთქვა წინადადებათა არსებით მხარეზე. ამრიგად, ძალაში რჩება მისი განცხადება, რომ ინგლისის მთავრობა წინააღმდეგია რაიმე განსაზღვრული ვადისა.

კამათის დამთავრების შემდეგ, კომისიამ გადასწყვიტა საფრანგეთის და გერმანიის პროექტები გადასცეს შესათანხმებლად სარედაქციო კომისიას.

სარედაქციო კომისიაში აირჩიეს კუშენდენი, ბონკური, ბერნსტორფი, ბენეში, ლოუდონი და ლანგე. სარედაქციო კომისიის არჩევის დროს მოულოდნელად გამოვიდა პოლონეთის დელეგატი სოკალი, რომელმაც განაცხადა, რომ პოლონეთი სდგას განსაკუთრებულ თვალსაზრისზე და მოითხოვს, რომ რეზოლიუციაში უფრო მკაფიოდ იქნას განსაზღვრული დამოკიდებულება უშიშროებისა და განიარაღების შორის.

სოკალიც აირჩიეს სარედაქციო კომისიაში.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება

ბრიანი საფრანგეთ - გერმანიის დაახლოვების შესახებ

ბერლინი, 20 სექტემბერი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ბრიანმა ოპტიმისტური შეხედულება გამოსთქვა საფრანგეთ - გერმანიის დაახლოვების შესაძლებლობის შესახებ. ბრიანმა განაცხადა:

„სარეპარაციო პრობლემა სრულებით არ ეხება ამერიკას, რადგან ვალის გადახდა უწინდებურად იწარმოებს. თუ მხარეები ნამდვილად მოისურვებენ, სარეპარაციო საკითხი შეიძლება მოგვარდეს რამდენიმე კვირის ან ორი თვის განმავლობაში. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა რეინის ოლქის სრული ევაკუაცია“ (ადს).

საბჭოთა კავშირი და კელოგის პაქტი

ვაშინგტონი, 20 სექტემბერი. ამ დღეებში კელოგმა განაცხადა, რომ მისი ცნობებით, „საბჭოთა მთავრობის აქტი, რომელშიაც იგი კელოგის ხელშეკრულებას უერთდება, საფრანგეთიდან ამერიკაში გაიგზავნა დიპლომატიური ფოსტით და მას მალე მიიღებს საფრანგეთის სახელჩო ვაშინგტონში. ვაშინგტონში მიღების შემდეგ ეს აქტი შენახული იქნება ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში, ხოლო საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო ორგანოების მიერ მისი სათანადო რატიფიკაციის შემდეგ, საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად, ეს აქტი ძალაში შევა და ამით საბჭოთა კავშირი საბოლოდ შეუერთდება კელოგის ხელშეკრულებას“. ეხლა ირკვევა, რომ როდესაც კელოგი ასეთ განცხადებას აკეთებდა, მან არ იცოდა, რომ ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობის მიერ უკვე რატიფიკაცია ქმნილია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიერ გათვალისწინებული წესით.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს სახელმწიფო დეპარტამენტში აცნობეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს უკვე აქვს ცნობა ამის შესახებ. დეპარტამენტმა დეპეშით წინადადება მისცა ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პარიზში გადაუგზავნოს მას დამატებით საბჭოთა მთავრობის მიერ კელოგის პაქტის შესახებ გაკეთებული ყველა განცხადება. შეკითხვაზე პაქტის მესამე მუხლის შესახებ, რომელიც ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ავალებს „დეპეშით“ აცნობოს ხელშეკრულებაზე ხელის მომწერ სახელმწიფოებს ხელშეკრულებისადმი შემდგომი შეერთების შესახებ, სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირისათვის დანიშნული ყველა ცნობა იგზავნება საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს საშუალებით.

პოლონეთი და ლიტვა

ზალესკის სიტყვები

ვარშავა, 20 სექტემბერი. ჟენევიდან წასვლის წინ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ ოფიციოზ „ეპოკა“-ს კორესპონდენტს პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების შესახებ განუცხადა:

„მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენ ხელახლა გადავდგით ნაბიჯი წინ, უფრო და უფრო ძლიერდება ის აზრი, რომ ჩვენმა მოთმინებით ლოდინის მეთოდმა უნდა სასურველი შედეგი მოგვცეს. იმის შესახებ, თუ რას უნდა მოველოდეთ კენიგსბერგის მომავალი კონფერენციისაგან, უნდა მივმართოთ ვოლდემარასს, რომლისაგანაც ფაქტიურად დამოკიდებულია კონფერენციის შედეგები; **თვით მე პირადად სერიოზულ შედეგებს არ მოველი**“. (ადს).

თავდასხმა ლიტველ ჯარის კაცებზე

კოვნო, 20 სექტემბერი. ლიტვის ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას“-ის ცნობით, ღამით 18 სექტემბერს ვიღაც უცნობმა პირებმა პოლონეთის ტერიტორიიდან ოთხჯერ აუტეხეს სროლა ლიტვის საგუშაგოს, რომელიც ტროკის მაზრის ძევესის რაიონში იმყოფება. იმავე გაზეთის ცნობით, 18 სექტემბერს პლეჩკაიტისის მომხრეები ტროკვილკომისიის რაიონში თავდასხმას ამზადებდნენ ლიტვის ჯარებზე. როგორც გაზეთი იუწყება, ტროკის მაზრის პოლონურ ნაწილში პლეჩკაიტისის მომხრეებს თავისი შტაბი აქვთ მოწყობილი.

პოლონეთი უკმაყოფილოა ჰინდენბურგის სიტყვით

ვარშავა, 20 სექტემბერი. მთელი პოლონეთის პრესა კომენტარიებს უკეთებს გერმანიის პრეზიდენტის ჰინდენბურგის სიტყვებს, რომლებიც მან ზემო სილეზიის ქალაქებში წარმოსთქვა.

ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰინდენბურგის სიტყვების რევანშის კილო სრულებით არ ეგუება იმ მისასალმებელ სიტყვას, რომელიც ჰინდენბურგმა წარმოსთქვა ბერლინში, როცა პოლონეთის ახალი ელჩი კნოლი მიიღო. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

საალყო წესები

პეკინი, 20 სექტემბერი. ცზინანიდან (შანდუნის მთავარი ქალაქი) მიღებული ცნობით, იაპონიის მესამე დივიზია გადაყვანილია ცზინანში. განზრახულია იაპონიის ჯარების კიდევ უფრო გაძლიერება. ცზინანში და ცინდაოში ფაქტიურად საალყო წესებია შემოღებული, თუმცა ფორმალურად ჯერ არ არის გამოცხადებული, გომინდანი მთელ პროვინციაში აკრძალულია. მოსახლეობა ტერორის ქვეშ იმყოფება, ცზინანის მიდამოებში ბანდიტთა ბანდები თარეშობენ.

ჩუილი-შანდუნის არმიის არსებობას ბოლო მოეღო

პეკინი, 20 სექტემბერი. სამხედრო მოქმედება მუკდენის ჯარსა და ჩუილი-შანდუნის ჯარის ნაშთებს შორის, რომელიც ჩუილის პროვინციის ჩრდილოეთით სწარმოებდა, დასრულდა მუკდენის ჯარის გამარჯვებით. იან იუ-ტინი, რომელიც მუკდენის ჯარის სამხედრო მოქმედებას ხელმძღვანელობდა, აცხადებს, რომ ჩუილი-შანდუნის ჯარმა, იმ ბრძოლის შემდეგ, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა, იარაღი დაყარა და დანებდა მუკდენელებსაო.

პეკინის წრეების აზრით, ჩუილი-შანდუნის ჯარის არსებობას ბოლო მოეღო. (ადს).

დამსჯელი რაზმები თეთრგვარდიელებისაგან

ხარბინი, 20 სექტემბერი. „ნიცი-ნიცი“-ს ცნობით, ხეილუნცზიანის გუბერნატორმა, რომელიც მუკდენში ჩავიდა „მონღოლეთის აჯანყებულთა მოძრაობის სამხედრო საშუალებებით ჩასაქრობ ღონისძიებათა შესახებ სათათბიროდ, განკარგულება გასცა მოეწყოს დამსჯელი რაზმები იმ თეთრგვარდიელთაგან, რომელნიც წინეთ ჩან-ცზუნ-ჩანის ჯარში მსახურობდნენ, ხოლო ამჟამად უსაქმოდ არიან ხარბინში და მანჯურიის სხვა ადგილებში. ამ ცნობას გაზეთი უმატებს:

„როგორც სჩანს, უმუშევარი თეთრგვარდიელების შესახებ ხეილუნცზიანის ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობს ატამანი სემიონოვი“. (ადს).

ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე

ვენა, 20 სექტემბერი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე აირჩიეს გამგეობის ძველი შემადგენლობა. ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც მთავრობის წინადადებათა საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკის დარგში მოითხოვს როგორც მთელი ავსტრიის რესპუბლიკის, ისე ავსტრიის ფედერაციის ცალკე ერთეულებისა და თემების საფინანსო უფლება-ვალდებულებების პრინციპიალურათ გადასინჯვას და ხელახლად მოგვარებას. რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე მოიჯარადრეთა და წვრილი გლეხების ინტერესების დაცვას საკანონმდებლო გზით.

ავსტრიის მთელი არასოციალ-დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, რომ ყრილობაზე გაიმარჯვა ზომიერმა მიმართულებამ და ყველა განხილულ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება. (ადს).

მენშევიკები ზრუნავენ ფაშისტების სიმშვიდისათვის

ვენა, 20 სექტემბერი. „ნეიეს ვინერ ტაგებლატ“-ის ცნობით, დაიწყო მოლაპარაკება ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს შორის ფაშისტური სამხედრო ორგანიზაციის ხეიმვერის იმ „მანიფესტაციის მშვიდობიანი მსვლელობის“ უზრუნველსაყოფად, რომელიც უნდა გაიმართოს 7 ოქტომბერს ვინერ-ნეუშტადტში. მოლაპარაკების დროს ხელისუფლებამ მოითხოვა, სოციალ-დემოკრატებს უარი ეთქვათ მუშათა იმ მანიფესტაციის გამართვაზე, რომელიც დანიშნული იყო ვინერ-ნეუშტადტში იმავე დღისთვის. ჯერ არ იციან, რა პასუხს გასცემენ სოციალ- დემოკრატები ამ წინადადებაზე. „როტე ფანე“-ს ცნობით, ამ დღეებში ვენაში გაიმართა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა და მემარცხენე მუშათა ორგანიზაციების თათბირი, რომელმაც დაადგინა—მოიწვიოს 30 სექტემბრისათვის ვინერ-ნეუშ- პასუხს გასცემენ სოციალ-დემოკრატები ამ ტადტში მუშათა ორგანიზაციების სადელეგატო კონფერენცია იმ საკითხის განსახილველად, თუ რა ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული ხეიმვერის მანიფესტაციის წინააღმდეგ. (ადს).

სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა პოლონეთ-ლატვიას შორის

რიგა, 20 სექტემბერი. „ლატვის“ იუწყება, რომ რადგან პოლონეთმა არა ერთხელ უარჰყო ლატვიის წინადადებები პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის მოწყობის შესახებ პოლონეთ-ლატვიას შორის, **ლატვია პირველი ოქტომბრიდან შესწყვეტს სარკინიგზო მიმოსვლას პოლონეთთან, თუ უკანასკნელი არ მიიღებს ლატვიის წინადადებებს.**

„იაუნაკას ზინიას“ ადასტურებს ამ ცნობას და სწერს:

„პოლონეთი პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის დამყარებას უკავშირებს პოლონელ მემამულეებისათვის ლატვიაში მიწების ჩამორთმევის გამო კომპენსაციის გადახდის საკითხს და **აგრეთვე საკითხს ილუკსტის მაზრის ექვსი თემის შესახებ, რომლებზედაც პოლონეთი აცხადებს პრეტენზიებს. ლატვიის მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს პოლონეთის ამ მოთხოვნილებებს**“.

დიდი ფაშისტური საბჭო---მთავრობის ორგანო

რომი, 20 სექტემბერი. ფაშისტური პარტიის დიდმა საბჭომ მიიღო პროექტი, რომლის მიხედვითაც იგი უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებად. პროექტის თანახმად, დიდი საბჭო წარმოადგენს მთავრობასთან არსებულ სათათბირო ორგანოს „საერთო ნაციონალური მასშტაბის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური საკითხების გადაწყვეტის დროს“, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მას ენიჭება გადამწყვეტი ხმის უფლებაც. პროექტის მიხედვით, დიდი საბჭო წინასწარ ირჩევს კანდიდატს იმ შემთხვევისათვის, თუ განთავისუფლდა პრემიერის ადგილი. საბჭოს სხდომა, პროექტის მიხედვით, საიდუმლოდ სწარმოებს. პრემიერის წინადადებით, ფაშისტური პარტიის მდივანი შეიძლება „მეფის დეკრეტით მოწოდებულ იქნეს მინისტრების საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად“. (ადს).

ნავთის მონოპოლია არგენტინაში

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. როგორც „ასოშიეტედ პრესის“ სააგენტო იუწყება ბუენოს აირესიდან, არგენტინის დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონი ნავთის სახელმწიფო მონოპოლიის ორგანიზაციის შესახებ. კანონი ითვალისწინებს იმ ნავთიანი ადგილების განსხვისებას, რომლებიც კერძო პირთა ხელშია. კანონი ავალებს მთავრობას, გააუქმოს ყველა საკონცესიო ხელშეკრულება, ამასთან ნავთიანი ადგილების და ნავთის კონცესიების ყოფილ მფლობელებს მიეცემათ კომპენსაცია იმ ხარჯებისათვის, რომელიც მათ გასწიეს საწარმოთა მოწყობაზე. კანონის ძალით, კერძო პირებს აეკრძალებათ ნავთთან დაკავშირებული ყოველგვარი ოპერაცია, ნავთის გადაზიდვა და გაყიდვაც კი. კანონი უნდა დაამტკიცოს სენატმა. ფიქრობენ, რომ სენატი უარყოფითად შეხვდება კანონს. ნავთის იმ უცხოელ კამპანიათა შორის, რომელნიც დაინტერესებულნი არიან არგენტინის ნავთით, ყველაზე მნიშვნელოვანი ინგლისის როიალ დეტჩ შელი, რომელსაც ხელმძღვანელობს დეტერდინგი, ინგლის-სპარსეთის ნავთის კამპანია და სტანდარტ-ოილი. (ადს).

მექსიკის კომუნისტური პარტიის კონფერენცია

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, გაიხსნა მექსიკის კომუნისტური პარტიის კონფერენცია. კონფერენციას ესწრება 23 დელეგატი 11 შტატიდან და ძმური ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება შეიტანა შრომის ახალი კონფედერაციის ორგანიზაციის შესახებ. კონფედერაციამ უნდა გააერთიანოს დამოუკიდებელი პროფკავშირები, რომელნიც არ შედიან შრომის მექსიკანურ რეფორმისტულ კონფედერაციაში. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია პარტიის ზრდა ამ უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში: ადგილობრივ ორგანიზაციების რიცხვი გაიზარდა 19-დან 40-მდე, ხოლო პარტიის წევრთა რიცხვი — 900-დან 2.000-მდე (ადს).

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

ლენინგრადის პარტაქტივის კრებაზე

ლენინგრადი, 21 სექტემბერი. 20 სექტემბერს შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელზედაც ამხ. კუიბიშევმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. ამხ. კუიბიშევი შეეხო მიმდინარე სამეურნეო წლის შედეგებს და მომავალი 1928-29 სამეურნეო წლის პერსპექტივებს.

„მიმდინარე წელს,—სთქვა ამხ. კუიბიშევმა,—განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი სიძნელეებმა პურის დამზადების საქმეში. მრეწველობამ ვერ შეძლო სოფლის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მეტად გაძნელდა ნედლეულის მიწოდება, განსაკუთრებით სელის მრეწველობისათვის. შინაგანმა სიძნელეებმა გავლენა იქონიეს ექსპორტზე, რომლის ამოცანები მეტად გაართულა პურის გამოყოფამ საექსპორტო გეგმიდან. მიმდინარე სამეურნეო წლის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ არ იყო დაცული პროპორცია სამუშაო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის ხელფასის ზრდის გეგმა გადაჭარბებულად არის შესრულებული, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდა, ბევრად ჩამორჩა დასახულ გეგმას. გეგმის მიხედვით, შრომის ნაყოფიერების ზრდა ნავარაუდევი იყო 17 პროცენტით, ხოლო ხელფასი—7,2 პროცენტით. ნამდვილად კი 10 თვის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა მხოლოდ 13 პროცენტით, სამუშაო ხელფასი კი 11 პროცენტით, არ არის შესრულებული თვითღირებულების შემცირების გეგმა;—თვითღირებულება შემცირებულია, 6 პროცენტის ნაცვლად, 5 პროცენტით, რის გამოც, მრეწველობამ დაჰკარგა 100 მილიონ მანეთზე მეტი.

დეფექტებთან ერთად ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა მიღწევებიც. 1927-28 წელიწადი პირველია, როდესაც შრომის ნაყოფიერება შრომის ხელფასზე უფრო სწრაფად იზრდება. ცოტათ თუ ბევრად კარგად არის საქმე. აგრეთვე პროდუქციის რაოდენობის მხრივ. ძალიან შეირყა შენელების მრუდის თეორია (მრეწველობის ზრდის ტემპის შენელება მრეწველობის განვითარების პროცესში), მიუხედავად ყველა სიძნელისა, მრეწველობის პროდუქცია, წარსულ წელთან შედარებით, გაიზრდება 22—23 პროცენტით. მომავალი წლის გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის 20-პროცენტიანი ზრდა. თუ ეს ტემპი ზრდისა შევინარჩუნეთ, მრეწველობის პროდუქცია წლის დასასრულს ორნახევარჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ომის წინანდროინდელი პროდუქცია.

მიმდინარე წლის მესამე მიღწევას შეადგენს ინტენსიური კაპიტალური მშენებლობა. 1927—28 წლის კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებული იქნა 1.316.000.000 მანეთი. მრეწველობის ძირითადი კაპიტალის ოდენობა 1925—26 წელთან შედარებით ერთი მესამედით გაიზარდა.

შემდეგ ამხ. კუიბიშევმა, აღნიშნა რა დეფექტები კაპიტალურ მშენებლობაში, სთქვა: „ის დაკვირვება, რომელიც მე მოვახდინე ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, საბაბს გვაძლევს აღვნიშნო, რომ მშენებლობის საქმე ბევრად უფრო ჯანსაღადაა დაყენებული ლენინგრადში, ვიდრე სხვა ადგილას“.

1927-28 წლის მიღწევად მიაჩნია ამხ. კუიბიშევს აგრეთვე გარდატეხა თვითღირებულების შემცირების საქმეში.

„მაგრამ,—სთქვა ამხ. კუიბიშევმა,—ის წარმოება, რომელსაც მივაღწიეთ ამ საქმეში, არ არის საკმარისი და ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით“.

ამხ. კუიბიშევი განსაკუთრებული ყურადღებით შეეხო შრომის დისციპლინის დაცემის საშიშ ნიშნებს. შრომის დისციპლინის დაცემამ, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმის შეუსრულებლობამ მრავალ საწარმოში, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოიწვიეს ის, რომ პროდუქცია არ იყო გამომუშავებული სათანადო რაოდენობით. ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიამ და პროფკავშირებმა.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი შეეხო 1928-29 წლის პერსპექტივებს და სთქვა: თუმცა ეს წელიწადი მეოთხე მოსავლიანი წელიწადია, მაგრამ ამ წელს მაინც ექნება ადგილი მნიშვნელოვან დაბრკოლებებს სოფლის მეურნეობის ნედლეულის და პურის დამზადების საქმეში. პარტიამ ერთი წუთითაც არ უნდა შეასუსტოს ყურადღება პურის დამზადების საქმეში. 1928-29 წელს საკმაოდ საგრძნობი იქნება აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის ნაკლებობა. მიზეზი ის არის, რომ მოთხოვნილება იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ბაზარზე გამოსატანი პროდუქცია. მოთხოვნილება გაიზრდება დაახლოვებით 14 პროცენტით, ფართო მოხმარების პროდუქცია კი—11 პროცენტით.

ამხ. კუიბიშევის მოხსენების ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ—სწორედ ვიქცევით თუ არა, როდესაც ჩვენს გეგმებში ვეტანებით მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, მაშინ, როდესაც ჯერ სავსებით ვერ არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილება მსუბუქი ინდუსტრიის პროდუქციაზე.

ასეთი ხაზი უეჭველად სწორია. ლითონისა და მანქანების ნაკლებობა წინანდებურად ის მთავარი მიზეზია, რომელიც ჩვენი მეურნეობის განვითარებას აბრკოლებს. მძიმე ინდუსტრიის სათანადო განვითარების გარეშე შეუძლებელია მაშინიზაცია, მაშასადამე, სოფლის კოლექტივიზაციაც. უნდა გავაბათილოთ საყვედურები, თითქოს ჩვენ ვაჭარბებდეთ ინდუსტრიალიზაციაში. ასეთი შეხედულება არ შეეფერება ჩვენს სამეურნეო ამოცანებს. იგი ნაკარნახევია პანიკით სიძნელეთა წინაშე, რომელთა თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მტკიცედ გავატარებთ ინდუსტრიალიზაციის ჩვენ მიერ აღებულ გეზს. ივლისის პლენუმის დირექტივების თანახმად, პარტიამ გადაჭრით უნდა ებრძოლოს არა მარტო ულტრა „მემარცხენე“ და მემარჯვენე გადახრებს, არამედ მათდამი ლოიალურ განწყობილებასაც.

დასასრულ, ამხ. კუიბიშევი შეჩერდა იმ ამოცანებზე, რომლებიც სდგანან მრეწველობის წინაშე 1928-29 წელს. საჭიროა მივაღწიოთ გადამჭრელ წარმატებას თვითღირებულების შემცირების საქმეში—მთელი აპარატის ხელჩართული, დისციპლინით განმტკიცებული მუშაობით. კაპიტალურ მეურნეობაში უნდა დაბანდებულ იქნას ორი მილიარდი მანეთი, ე. ი. ოთხასი მილიონით უფრო მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. უნდა შევსძლოთ მშენებლობის გაიაფება.

მომავალი წლის მოკლედ დახასიათების დროს ამხ. კუიბიშევმა სთქვა, რომ იგი დაახლოვებით ემსგავსება მიმდინარე წელს, მაგრამ პარტია შეხვდება მას უფრო გამოცდილი, უფრო მეტად მომზადებული დაბრკოლებათა დასაძლევად. ეს სრულ იმედს გვაძლევს, რომ მთლიანი მონოლიტური პარტია, პროლეტარიატის დახმარებით, დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას. (ადს).

კომუნისტ-დეპუტატების გადაცემა სასამართლოსათვის

პრაღა, 20 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტმა გადასწყვიტა გადასცეს სასამართლოს კომუნისტი დეპუტატი მუნი, რომელსაც ბრალდება „სახელმწიფოს უშიშროების შესახებ „არსებულ კანონის დარღვევა და აგრეთვე კომუნისტი დეპუტატი ჩულენი, რომელსაც ბრალდება სოციალ-დემოკრატ დეპუტატის შეურაცყოფა პრესაში.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბურჟუაზია იცავს თავის მსახურებს

მოსკოვი, 21 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ზამმა იტყობინება შემდეგს:

ბურჟუაზიული პრესა თავგამოდებით იცავს სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს, რომლებსაც სასტიკად აკრიტიკებენ მუშათა მასები.

გაზეთი „კელნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: „დიდი კოალიცია, რომელსაც წარმოადგენს დღეს გერმანიის მთავრობა, იდეალი არ არის. მაგრამ უბედურება იქნებოდა, რომ კომუნისტებს გავლენა მოეხდინათ სოციალ-დემოკრატებზე და იძულებული გეხადათ ისინი უარი ეთქვათ სხვა პარტიებთან თანამშრომლობაზე“.

გაბრიელ პერი განთავისუფლებულია

მოსკოვი, 21 სექტემბერი. გაზეთ „პრავდა“-ს პარიზელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ გაბრიელ პერი განთავისუფლებულია. „ლ,იუმანიტე“ აცხადებს, რომ გაბრიელ პერის დაპატიმრება შურისძიების აქტს წარმოადგენს. მისი დატუსაღება დასჭირდა საფრანგეთის ბურჟუაზიას იმ მამხილებელი მუშაობისათვის რომელსაც გაბრიელ პერი აწარმოებდა ჟენევაში.

უნდობლობა საფრანგეთის დიპლომატიისადმი იზრდება

მოსკოვი, 21 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი იტყობინება:

ჟენევის მოლაპარაკების შემდეგ გერმანიაში მეტის მეტი იჭვის თვალით უცქერიან საფრანგეთის დიპლომატიის ყოველგვარ წინადადებებს. გერმანიის გაზეთები განსაკუთრებით დიდ ადგილს უთმობენ ბრიანის სიტყვას, სადაც მან განაცხადა: საფრანგეთი უხდის ვალს ამერიკას იმის მიუხედავად, თუ რა შედეგს გამოიღებს მოლაპარაკება სარეპარაციო საკითხის შესახებ. ამიტომ რეპარაციის საკითხები არ ეხება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსო.

დეფექტები ამიერ-კავკასიის ბიუჯეტში

მოსკოვი, 21 სექტემბერი. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლანდას მოხსენება ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გამოკვლევამ გამოაშკარავა მთელი რიგი სერიოზული დეფექტები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სახელმწიფო აპარატის სიძვირე ამიერ-კავკასიაში. აპარატის ხარჯები თითო სულზე ერთი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში უდრის 1 მან. და 44 კაპ., რუსეთის ფედ. საბ. რესპუბლიკაში 75 კაპეიკს, უკრაინის სოც. საბ. რესპ. 64 კაპეიკს. ამასთან ერთად ის ფაქტი, რომ ამიერ-კავკასიაში არ არის ფედერატიული სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ხელს უშლის მრეწველობას თავის მუშაობის შეთანხმებაში ნედლეულის ბაზართან და პროდუქციის განაღდების საქმესთან.

ადგილობრივი ბიუჯეტები აშკარად არარეალურია. ეს იმიტომ, რომ იმედი აქვთ ცენტრი დახმარებას გაუწევსთ დამატებითი კრედიტის გახსნით. ადგილობრივ საშემოსავლო წყაროების გაძლიერებას არ ექცევა ყურადღება. ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება შესრულებული არაა.

საქართველოს ტყის მრეწველობა ზარალს იძლევა.

მეიერხოლდის თეატრის გარშემო

მოსკოვი, 21 სექტემბერი. რუსეთის სახალხო განათლების კომისარმა ამხ. ა ლუნაჩარსკიმ მეიერხოლდის თეატრის შესახებ განაცხადა:

მეიერხოლდის თეატრს შეუძლია იმუშაოს, როგორც კერძო კოლექტივს იმ შემთხვევაში, თუ თეატრი ამაზე უარს იტყვის, ის დაკეტილ იქნება.

მსახიობი ჩეხოვის წერილი

მოსკოვი, 21 სექტემბერი. მეორე სამხატვრო თეატრის ცნობილი მსახიობი ჩეხოვის საზღვარგარეთ ყოფნის გამო, გავრცელდა ცრუ ხმები იმის შესახებ, თითქოს ჩეხოვი აღარ დაბრუნდება სამხატვრო თეატრში სამუშაოდ. ამის გამო თვითონ ჩეხოვმა მოსკოვის გაზეთებში მოათავსა წერილი სცენის მუშაკებისადმი ,სადაც ის აცხადებს, რომ საზღვარგარეთ იმყოფება დროებით. გერმანიაში დარჩენა ჩემთვის აუცილებელია, სწერს ჩეხოვი, იმისათვის, რომ შევისწავლო გერმანული სცენის ახალი ტეხნიკა.

ღამის ცნობები

შეერთება კელოგის პაქტისადმი

ვაშინგტონი, 21 სექტემბ. სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით დღემდე კელოგის პაქტისადმი შეერთებაზე თანხმობა განაცხადა 52 სახელმწიფომ. კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინა მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა. ფიქრობენ, რომ 14 სახელმწიფო, რომლებმაც ხელი მოაწერეს კელოგის პაქტს პარიზში, არ დაივიწყებენ ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაციას და გადასდებენ კელოგის პაქტის რატიფიკაციას მანამდე, სანამ შეერთებული შტატების სენატი გამოიტანდეს დადგენილებას ამ საკითხზე. საკითხი კელოგის პაქტის რატიფიკაციისა, როგორც სჩანს, სენატში დაისმება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მიღებული იქნება საზღვაო შეიარაღების გადიდებული პროგრამა (ადს).

კელოგი საიდუმლო დიპლომატიის მტერია

ვაშინგტონი, 20 სექტემბერი. ჟურნალისტების მიღების დროს კელოგს შეეკითხნენ ჟენევაში წამოყენებული იმ წინადადების გამო, რომელიც შეეხება საზღვაო სახელმწიფოთა საიდუმლო კონფერენციის მოწვევას, პარიზში. კელოგმა განაცხადა, რომ მას ამ საგანზე ოფიციალური ცნობები არა აქვს, მაგრამ თვითონ ის საიდუმლო დიპლომატიის მტერია. (ადს).

უარყოფენ ცნობას ხელშეკრულების დადების შესახებ

პარიზი, 20 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„როგორც ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ საფრანგ. და ინგლისმა დასდეს საჰაერო ხელშეკრულება, სავსებით უსაფუძვლოა". (ადს).

გერმანიის დელეგაციის პოზიცია

ბერლინი, 21 სექტემბერი. „დოიტშე დიპლომატიშე - პოლიტიშე კორესპონდენც"-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კენჭის ყრის დროს გერმანია წინააღმდეგი იქნება ერთა ლიგის სარედაქციო კომისიის ფუნქციების რეზოლუციისა. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ჟენევის კორესპონდენტი იუწყება, რომ ცნობამ გერმანიის დელეგაციის უარყოფითი პოზიციის შესახებ დიდი ყურადღება მიიპყრო რეზოლუციის მომხრეთა წრეებში. შეეცადნენ საიდუმლო მოლაპარაკება ეწარმოებიათ გერმანიის დელეგაციასთან მისთვის მისაღები ფორმულის გამონახვის მიზნით. მაგრამ, კორესპონდენტის სიტყვით, ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა (ადს).

ბრიანი უარყოფს

ბერლინი, 21 სექტემბ. გაზეთების ცნობით, ბრიანი უარყოფს „ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის ჟენევის კორესპონდენტის მიერ მოთავსებულ ცნობას იმის შესახებ, თითქოს ბრიანს განეცხადებინოს, რომ მოლაპარაკება სარეპარაციო პრობლემის შესახებ შეიძლება დამთავრებულ იქნეს ორი თვის განმავლობაში. ბრიანი დასძენს, რომ ჯერ - ჯერობით მხოლოდ დაახლოვებით შემოხაზულია ამ კომისიის მუშაობის გარეგანი ჩარჩოები" (ადს).

„მშვიდობიანობის" კიდევ ერთი აქტი

ჟენევა, 21 სექტემბ. ამ დღეებში ერთა ლიგის პლენუმში შეიტანენ პროექტს „გენერალური აქტისა საერთაშორისო უთანხმოებათა მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ". პროექტში გაერთიანებულია უშიშროების კომიტეტის მიერ გამომუშავებული ყველა წინანდელი სათანადო პროექტი. ამასთან ერთად შეაქვთ რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს ყველა ქვეყანას, მათ შორის იმათაც, ვინც არ შედის ერთა ლიგაში რათა ისინი შეუერთდნენ „გენერალურ პაქტს". (ადს).

გერმანიის კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 21 სექტემბ. იმასთან დაკავშირებით, რომ 8 ოქტომბერს უნდა დაიწყოს ხელის მოწერათა შეკრება საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ ჯავშნოსანის აგების საკითხის თაობაზე, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „მაისში საარჩევნო კამპანიის დროს სოციალ - დემოკრატები გამოვიდნენ ლოზუნგით: „სურსათი ბავშვებს ჯავშნოსანის ნაცვლად" და შეჰკრიბეს 9 მილიონი ხმა. როდესაც სოციალ - დემოკრატები შევიდნენ მთავრობაში, სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ „ქრისტიანულ" კავშირთან, დემოკრატებთან და სახალხო პარტიასთან ერთად დაადგინა: „ჯავშნოსანი ნაცვლად სურსათისა ბავშვებისათვის". ამ განცხადებას ტაშის ცემით შეეგებნენ ნაციონალისტები და ფაშისტური სამხედრო კავშირები". შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ ჯავშნოსანის აგება ნიშნავს გერმანიის იმპერიალიზმის შეიარაღებათა გაძლიერებას; გერმანიას ფლოტი იმისათვის სჭირდება, რომ სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა მომავალ მძარცველ ომში, იმ ომში, რომელიც მიმართული იქნება მსოფლიო პროლეტარიატის გულის—საბჭოთა კავშირი წინააღმდეგ. შემდეგ რეზოლუცია მოუწოდებს მშრომელ მთლიანი ფრონტით გამოვიდნენ მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან მხოლოდ მშრომელთა მრავალ მილიონიან მასების რევოლუციონურ მოქმედებას შეუძლიან შეაჩეროს ახალი შეიარაღება, ახალი სამხედრო ავანტიურა (ადს).

საძირკვლის ჩაყრა სტეფანე შაუმიანის ძეგლისათვის ერევანში

ერევანი, 21 სექტემბერი. 20 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, ალმასკომის მოედანზე, იმ ადგილას, სადაც წინად იდგა ამჟამად აღებული რუსული ეკლესია, კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის დელეგატების და დიდძალ მშრომელთა თანდასწრებით საძირკველი ჩაეყარა სტეფანე შაუმიანის ძეგლს. (ადს).

ახალგაზრდათა კომინტერნის მე-V კონგრესი

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 21 სექტემბერი. ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე, არჩევნების შემდეგ, ამხ. ხითაროვმა განაცხადა, რომ რამდენიმე ამხანაგი ახალგ. კომინტერნის ალმასკომიდან და ცალკე კომკავშირების ც. კ.-ბიდან მიდიან პარტიულ სამუშაოზე ან სასწავლებლად. კომინტერნის ალმასკომიდან მიდიან: შილერი, გინტნერი, იანგი, მერინგი, გირშლი და ფოკინი; სექციების ც. კ.-ბიდან ფერა (საფრანგეთი), ლიმანოვსკი (პოლონეთი), ლონგო (იტალია).

ამხ. ხითაროვმა თავის საბოლოო სიტყვის დროს წინადადება შეიტანა, აღნიშნული აქტივისტები ახალგაზ. კომინტერნიდან, რომელნიც პარტიულ სამუშაოზე ან სასწავლებლად მიდიან, ჩათვლილ იქნენ საპატიო კომკავშირელებად. კონგრესის დელეგატებმა ხანგრძლივი ტაშით დაადასტურეს ეს წინადადება.

„ჩვენი კონგრესი,—განაცხადა შემდეგ ამხ. ხითაროვმა—თავისი მოცულობით და მუშაობის მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონგრესი იყო. კონგრესმა ყველა ქვეყნის კომკავშირელებს უჩვენა ჭეშმარიტი გზა მშრომელ ახალგაზრდათა მასების დაპყრობისაკენ. ამ კონგრესის შემდეგ ახალგაზრდათა კომინტერნის სექციები, რომელთაც ორი კვირის განმავლობაში, კონგრესის მუშაობის დროს, დიდძალი გამოცდილება მოიპოვეს, უფრო მეტის წარმატებით, ვიდრე დღემდე, განაგრძობენ თავიანთ დაუცხრომელ მუშაობას".

„ამჟამად,—სთქვა დასასრულ ამხ. ხითაროვმა,—ჩვენ სოციალისტურ სამშობლოს ომის საფრთხე ემუქრება. კოლონიებში იმპერიალისტები უკვე აწარმოებენ ყაჩაღურ ომებს. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი, მუშაობის დამთავრებისას, ეუბნება კომინტერნს და საბჭოთა კავშირს: „თუ იმპერიალისტები თავიანთ მახვილს აღმართავენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მონაპოვარის წინააღმდეგ, ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი და ყველა მისი სექცია, როგორც ფართო რევოლუციის ერთგული ჯარის კაცნი, მის ფეხზე დადგებიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს დასახმარებლად და არ დაჰყრიან იარაღს იმ დრომდე, სანამ ყველა ქვეყანაში წითელი დროშა არ გაიმარჯვებს".

კონგრესი დაიხურა 18 სექტემბერს, ღამის 2 საათზე, მხურვალე ტაშის ცემით და ინტერნაციონალის სიმღერით.

ახალგაზრდათა კომინტერნის ალმასკომის ახალი შემადგენლობა

ახალგაზრდათა კომინტერნის ალმასკომის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: ბარბე, ბენგსონი, ბლენკლე, ვართანიანი, ვილიამსონი, გარვეი, გელმუტი, გორკიჩი, გრიგორიევი, კასარევი, ლეო ლოტინი, მილჩაკოვი; რესტი, სევერიანოვი, სტარევიჩი, ფინ ტონლონი, ფიურენბერგი, ხითაროვი და სხვანი.

ახალგ. კომინტერნის ახალი შემადგენლობის ალმასკომის პირველი პლენუმი

19 სექტემბერს შესდგა პირველი პლენუმი ახალგ. კომინტერნის ახალი შემადგენლობის ალმასკომისა, დღიურ წესრიგში იდგა ერთი საკითხი—პრეზიდიუმის და სამდივნოს არჩევა. ალმასკომის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 19 წევრი და 7 კანდიდატი, სამდივნოში—5 წევრი და სამი კანდიდატი. ალმასკომის პრეზიდიუმში მოჰყვნენ: გალოპენი, გორკიჩი, ბრანდტი, რესტი, ხითაროვი, ლოვერა, ფრიცი, ვართანიანი, გრიგორიევი, მაზუტი; კუნო; როუდილი; ლოტინი; სტასიაკი; გარვი, რონდენი ლიურ,ენზერგი და შტორმი. სამდივნოში: წევრებად—გალოპენი, გორკიჩი, ბრანდტი, რესტი, ხითაროვი; კანდიდატებად—ლოვერა, ფრიცი და ვართანიანი (ადს).

პოლონეთის იმპერიალიზმის ფარული ზრახვები

კოვნო, 20 სექტემბერი. ლიტვის ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას"-ი აღნიშნავს, რომ ვილნის ვოევოდა იუზეფსკის გამოსვლამ გამოააშკარავა პოლონეთის იმპერიალიზმის იგივე პოლიტიკა, რაც სჩანს „ლიტვის ჩანთქვის" გეგმებში. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როდესაც პოლონეთის იმპერიალიზმი კამპანიას აჩაღებს საბჭოთა კავშირისა და ლიტვის წინააღმდეგ თავის პრესაში, მას უნდა ამ გზით დასავლეთ ევროპის „საზოგადოებრივ აზრში" ნიადაგი მოამზადოს იმ მიზნით, რომ „თავდასხმის მოხერხებულ დროს" თავისუფალი იყოს კელოგის პაქტის დადგენილების და სხვა „სამშვიდობო" ვალდებულებათაგან.

გაზეთი სწერს: „ჟენევაში და ყველა საერთაშორისო კონფერენციებზე პოლონელები არ უშვებენ არც ერთს შემთხვევას, რომ არ დაიკვეხონ თავისი „პაციფიზმით" და თავისი საპატიო როლით „დასავლეთის ცივილიზაციის დაცვის საქმეში აღმოსავლეთის ბოლშევიზმისაგან", ხოლო თვით პოლონეთში კი გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწენი განუწყვეტლივ ოცნებობენ პოლონეთის ისედაც გაბერილ საზღვრების გაფართოებაზე „ჯერჯერობით თუნდაც უკრაინისა, ბელორუსიისა და ლიტვის ხარჯზე". (ადს).

ბოლდუინი პარიზში

პარიზი, 20 სექტემბერი. ბოლდუინი არაოფიციალურად მოვიდა პარიზში, სადაც 4 დღეს დაჰყოფს. ინგლისის საელჩოში გაიმართება „ინტიმური საუზმე", რომელსაც დაესწრებიან ბოლდუინი, ინგლისის ელჩი ტირელი და პუანკარე. (ადს).

კომუნისტების გამარჯვება

პარიზი, 20 სექტემბერი. სენ-სირში მოხდა დამატებითი არჩევნები მუნიციპალიტეტის ექვსი მრჩეველისა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ. კომუნისტურმა სიამ მიიღო 482 ხმა, ხოლო ანტიკომუნისტურმა—304 (ადს)

პილსუდსკი ბუქარესტში

სამხედრო მოლაპარაკება

ვენა, 20 სექტემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, იქ ჩავიდა პილსუდსკი. მის ჩასვლასთან დაკავშირებით რუმინეთის გენერალურ შტაბს თათბირი ჰქონდა. რუმინეთის მთავრობის პრესა, რომელიც დღემდი უარჰყოფდა, რომ რუმინეთში პილსუდსკის ჩასვლას სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი აქვს, ახლა აღიარებს, რომ მოლაპარაკების მიზანია პოლონეთ-რუმინეთის ახალი სამხედრო კონვენციის დადება.

ისკროვის გაძევება ავსტრიიდან

ვენა, 20 სექტემბერი. ბულგარელ რევოლუციონერ ისკროვს, რომელსაც ბულგარეთში სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მოახერხა ავსტრიაში გაქცევა, ვენის სასამართლომ გადაუწყვიტა ორი თვის ციხე და გაძევება ავსტრიიდან სხვისი პასპორტით ცხოვრებისათვის. ისკროვს ჩაეთვალა წინასწარი პატიმრობა და ციხეში ჯდომა აღარ მოუხდება.

აჯანყება ციხეში

ნიუ-იორკი, 20 სექტემბერი. ბალტიმორის საპყრობილეში, ადმინისტრაციის მხრივ ცუდი მოპყრობის გამო, 700 ტუსაღმა უარი სთქვა საპყრობილის რეჟიმისადმი დამორჩილებაზე, ბარიკადები მოაწყო თავის საკნებთან და იერიში მიიტანა საპყრობილის მცველებზე. მღელვარებამ ორ დღეს გასტანა და ჩაქრობილ იქნა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადმინისტრაციამ გაზის ყუმბარებს მიმართა. ასეთი კონფლიქტი რეჟიმის სიმკაცრისა და ანტისანიტარული პირობების გამო ამერიკას საპყრობილეებში ძალიან ხშირია. (ადს).

სხვადასხვა

◆ ჰოლანდიამ უკვე მოაწყო საჰაერო მიმოსვლა ინდოეთთან, რითაც უკმაყოფილოა ინგლისი, რადგან საჰაერო მიმოსვლა ინგლის-ინდოეთის შორის ჯერ არ არის მოწყობილი.

◆ პლოცკის (პოლონეთი) ეპისკოპოზ კოვალსკის ბრალდება მცირე წლოვან ბავშვების გახრწნა. ეპისკოპოზი პასუხისგებაშია მიცემული. გამოწვეულია 100 მოწმე.

◆ რომის სასამართლო პალატამ მოისპო თეთრგვარდიელ ალბერტის და ავალოვ-ბერმონტის საქმე.

◆ ბერლინი-მოსკოვი - ირკუტსკი-ტოკიო. მოსკოვის აეროდრომზე დაეშვა გერმანელი მფრინავი ბირტენფელდი, რომელიც ბერლინიდან ტოკიოში მიფრინავს.

◆ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების რეფორმისტულმა გამგეობამ დაამტკიცა დადგენილება მემარცხენე რევოლუციონური უმცირესობის გამორიცხვის შესახებ მუშათა სასპორტო ორგანიზაციებიდან.

◆ მოელიან გერმანიის ლონდონელი ელჩის სტამერის გადადგომას. მის მემკვიდრედ ასახელებენ სტატ-სეკრეტარ შუბერტს, გრაფ ბერნსტორფს (გერმანიის დელეგატს ერთა ლიგაში) და მენშევიკ ბრეიტშტეიდს.

◆ ბელგიის პალატამ მიიღო სამხედრო კანონპროექტი, მენშევიკებს კენჭის ყრაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

◆ მაკდონალდი ლონდონში დაბრუნდა კანადაში მოგზაურობიდან.

◆ ლატვიის მთავრობა უარყოფს, რომ მან ლატვიაში შესვლის უფლება მისცა პოლონეთიდან გაძევებული რუს თეთრგვარდიელებს.

◆ ლატვიაში გრძელდება მემარცხენე მუშების დაპატიმრება, დააპატიმრეს მხატვარი ლეპინში, რომელიც რევოლუციონურ პლაკატებს ამზადებდა.

◆ ლატვიის მთავრობამ აკრძალა დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის არსებობა.

საბჭოთა კავშირში

ამხ. გ. პიატაკოვის აღდგენა პარტიაში

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის დადგენილება

მოსკოვი, 21 სექტემბერი. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებაში გიორგი ლეონიდეს ძე პიატაკოვის პარტიის რიგებში აღდგენის შესახებ ნათქვამია:

იღებს რა მხედველობაში, რომ ამხ. პიატაკოვმა აშკარად აღიარა თავისი შეცდომები და დაუმტკიცა პარტიას გულწრფელი სურვილი მუშაობით გამოასწოროს ეს შეცდომები, რითაც შეასრულა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XV ყრილობის მოთხოვნილება ტროცკისტული ოპოზიციის მიმართ, ცენტრალური საკონტროლო კომისია ადგენს: ამხ. პიატაკოვი აღდგენილ იქნეს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) რიგებში და აღედგინოს ის დრო, რომელმაც განვლო მისი პარტიიდან გამორიცხვის შემდეგ აღდგენამდე, ე. ი. 1927 წ. 19 დეკემბრიდან 1928 წლის 14 სექტემბრამდე. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის მდივანი

იაროსლავსკი.

საბჭოების სარევიზიო კომისიების მუშაობა

საბჭოთა კავშირის ცაკის მიმართვა

მოსკოვი, 21 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკმა მიმართა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის, უკრაინის ბელორუსიის, ამიერ-კავკასიის, თურქმენისტანისა და უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და მიუთითა მათ რაიონისა, თემის და სოფლის სარევიზიო კომისიების მოქმედების გაძლიერების საჭიროებაზე.

„სარევიზიო კომისიები,—ნათქვამია მიმართვაში,—უდიდეს როლს უნდა თამაშობდნენ რაიონისა და თემის აღმასრულებელ კომიტეტებისა და სოფლის საბჭოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგებაში, ამასთანავე კომისიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ თანხების სწორ დანიშნულებას და მოხმარებას, რომლებიც თვით დაბეგვრის გზით იკრიბება. ეხლანდელი შემადგენლობის სარევიზიო კომისიების მუშაობა ცოტაოდნათ გაუმჯობესდა, მაგრამ ბევრ შემთხვევაში კომისიები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საკმაო საქმიანობას. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია მაღლა მდგომმა აღმასკომებმა მიიღონ ისეთი ზომები, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი იქნება ნაკლთა აღმოფხვრა და უზრუნველყოფა სარევიზიო კომისიების მუშაობის ნამდვილი საზოგადოებრივი ხასიათისა და მათი მაქსიმალური ნაყოფიერებისა, დეფექტები სარევიზიო კომისიების მუშაობაში მეტ წილად აიხსნება იმით, რომ ამ კომისიების პირადი შემადგენლობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მთელი რიგი ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს იმას, რომ სოფლის საზოგადოებრივი კონტროლი გახდება შრომის უნარიანი, ენერგიული და გლეხთა ფართო მასებთან მაგრად შეკავშირებული. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, დეტალური მითითებანი მისცენ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და შესრულების შესახებ აცნობონ საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 21 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, პურის დამამზადებელმა ძირითადმა ორგანიზაციებმა სექტემბრის მესამე ხუთდღეულის განმავლობაში დაამზადეს 250.869 ტონა პურის პროდუქტი, წინააღმდეგ 199.673 ტონისა, რომელიც წინა ხუთდღეულში იქნა დამზადებული. (ადს).

„კრასინი"-ს მეორე რეისი

„კრასინ"-ის აღმოჩენა

ყინულისმჭრელი „კრასინ"-ი, 21 სექტემბერი. ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს ყინულოვან ველს, მაგრამ არსად არა სჩანს ალექსანდრის ჯგუფის კვალი, ყველაფერი კარგად მოსჩანს. ყინული ჯერ არ არის მძიმე. 19 სექტემბერს ყინულისმჭრელი იმყოფებოდა ჯილისის აპოკრიფული მიწის ადგილას. ეს „მიწა" ვითომ პირველად ნახა კაპიტანმა ჯილისმა 1707 წელს, შემდეგ მაკაროვმა—1898 წელს, ხოლო უორსლიმ—1925 წ. მათ ყველას მიწა შორიდან დაუნახავთ. ნამდვილად მათ მიერ აღნიშნულ ადგილას არავითარი მიწა არ არსებობს (ადს).

ცნობები „კრასინიდან"

ყინულისმჭრელი „კრასინი", 21 სექტემბერი. 20 სექტემბერს მთელი ღამე და დღე ნელა მივდიოდით 38 მერიდიანით სამხრეთისკენ და ფხიზლად ვათვალიერებდით რაიონს. გარდა ჯგუფების ძებნისა, ყინულისმჭრელი ცდილობს შეამჩნიოს რაიმე სიგნალი ან კვალი, მაგრამ ცუდი სინათლის გამო მუშაობა მეტად გაძნელებულია. „კრასინ"-მა დაათვალიერა ის რაიონი, სადაც ჯერ არვის არ უძებნია დირიჟაბლი. ეხლა დარჩა მხოლოდ რაიონი აღმოსავლეთის მიმართულებით, იმ ადგილიდან, სადაც იმყოფება ამჟამად „კრასინი" და ყინულისმჭრელიც იქით მიიმართება.

მოსკოვი, 21 სექტემბერი. პროფესორ სამოილოვიჩის უკანასკნელ ცნობებში ნათქვამია რომ „კრასინი" სიძნელის გამო ყინულებში გაჩერდა ალექსანდრეს მიწის დასავლეთით, ამ მიწიდან ოცი მილის მანძილზე. ოკეანე ძლიერად ღელავს, გარიჟრაჟზე „კრასინი" წინ გასწევს.

21 სექტემბერს უკვე მოსჩანდა ძლიერა ასი.

ყინულის ჭრის დროს „კრასინი" დაზიანდა. ყინულისმჭრელს ნელ-ნელა ეპარება წყალი, რომლისგანაც გემს თანდათან ანთავისუფლებენ ამოქაჩვის საშუალებით. ა(დს).

კომინტერნის კონგრესის შედეგთა დამუშავება

მთავარი სახელოსნოები

გუშინ, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა ა.-კ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოების პარტუჯრედების ჯგუფური კრება, რომელსაც 800 კაცი დაესწრო. კრებამ მოისმინა ამხ. მიხ. კახიანის მოხსენება კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის შედეგების შესახებ.

კომინტერნის მე-6 კონგრესს—ამბობს ამხ. კახიანი,—უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მან შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი მოსალოდნელ ომის საშიშროების თავიდან ასაცილებლად. კონგრესმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლონიალურ ჩაგრულ ერების მდგომარეობას და ახალი კურსი აიღო კომინტერნის სექციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

შემდეგ ამხ. კახიანი ეხება კონგრესის მიერ მიღებულ პროგრამას და დასძენს, რომ კონგრესმა კომუნისტურ მოძრაობის მრავალწლოვანი გამოცდილების საფუძველზე დასახა მომავალი მუშაობის გზები.

მოხსენების ირგვლივ მიღებულ რეზოლუციაში კრება სავსებით იწონებს კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის დადგენილებებს.

ამხ. ორჯონიკიძის სახ. კლუბში

შესდგა თბილისის დეპოს, სარონოდო პარკის და სხვ. პარტუჯრედების ჯგუფური კრება, კრებამ მოისმინა ამხ. ლისოვსკის მოხსენება კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგებზე.

მოხსენების გარშემო კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: „კრება აღნიშნავს, რომ კონგრესმა სწორი ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო მდგომარეობას და გამოიმუშავა სათანადო ღონისძიებანი მშრომელ მასების დასარაზმავად კომინტერნის ირგვლივ".

მეტყავეთა კლუბში

გუშინ მუშაობის დამთავრებისთანავე მოეწყო მეტყავეების, „ეირომასის", ქალაქის საავადმყოფოს და 26 კომუნარის რაიონის სხვა უჯრედების ჯგუფური კრება. კრებას დაახლოვებით 800 კაცი დაესწრო.

კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. ავაქოვის ვრცელი მოხსენება კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესის შედეგებზე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ტერ-ვართანოვმა, გარინმა, ტურაბოვმა და სხვებმა.

ჯგუფური კრება მთლიანად შეუერთდა მსოფლიო რევოლუციის შტაბის დადგენილებას.

კლუბ „სტელა"-ში

შესდგა თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის უჯრედთა ერთი ნაწილის გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. იმედაძის მოხსენება კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის შედეგების შესახებ.

უმთავრესი, მე-6 კონგრესის მუშაობაში იყო—ამბობს ამხ. იმედაძე, კომინტერნის პროგრამის დამუშავება და მისი მიღება. ეს პროგრამა არის მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის პროგრამა, რომელიც მთლიანად ემყარება მარქსიზმის და ლენინიზმის ძირითად პრინციპებს. კონგრესზე ნათლად იქნა გარკვეული იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მისი დამქაშის—სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები.

ამხ. იმედაძე დაწვრილებით შეეხო კონგრესის მიერ განხილულ სხვა საკითხებსაც.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვა.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლუცია რომლითაც სავსებით იწონებს კონგრესის მუშაობას და მოუწოდებს კომპარტიის თვითეულ წევრს ზედმიწევნით შეისწავლოს კონგრესის გადაწყვეტილებანი.

მუშათა ახალ კლუბში

უჯრედთა ჯგუფურ კრებაზე, რომელსაც 700-ზე მეტი კაცი დაესწრო, მოსმენილ იქნა ამხ. ბეჟანიანის მოხსენება კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესის შედეგების შესახებ.

მიღებულ რეზოლუციაში კრებამ მოიწონა კონგრესის გადაწყვეტილებები.

მე-4 საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა

20 სექტემბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო.

გრძელდება კამათი საორგანიზაციო საკითხებზე. კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 34 ორატორმა.

26 კომუნარის ხსოვნის პატივსაცემად

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღეს ამიერ-კავკასიის და კერძოდ ბაქოს პროლეტარიატი გლოვობს ვერაგულად დახოცილ 26 კომუნარს და წინადადებას აძლევს ყრილობას ფეხზე ადგომით პატივი სცეს დაღუპულ კომუნარების ხსოვნას. რიგს გარეშე სიტყვას ღებულობს ამხ. მეერსონი, რომელიც მოკლედ ახასიათებს ბაქოს 26 კომუნარის რევოლუციონურ მოღვაწეობას და გმირულ თავდადებას კომუნიზმისათვის.

პრეზიდიუმის სახელით ამხ. სემაშკო წინადადებას იძლევა ტფილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომაზე გაგზავნილ იქნას სპეციალური დელეგაცია ექიმების და დელეგატ მუშების შემადგენლობით. ყრილობა ერთხმად იღებს პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ მიმართვას თბილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომისადმი.

ექ. მუნბლიტის საბოლოო სიტყვა

საორგანიზაციო საკითხზე

პროფილაქტიური მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ნაწილია. პროფილაქტიური და სამკურნალო დარგების გაერთიანების დროს ჩვენ ერთის მხრივ უნდა გავაღრმავოთ სხვადასხვა სპეციალობათა მეთოდიკა და მეორეს მხრივ ვაწარმოოთ ხალხის გამაჯანსაღებელი მუშაობა. გაერთიანება მოგვცემს ხარჯების და ძალების ეკონომიას, მაგრამ გაერთიანება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ პროფილაქტიური მუშაობა გაითქვიფება საერთო სამკურნალო მუშაობაში.

ამხ. სემაშკოს საბოლოო სიტყვა

დისკუსიაში ამხანაგების გამოსვლამ დაგვიმტკიცა, რომ საჭიროა დიდი სიფრთხილე საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტის დროს. ზოგიერთ ამხანაგებს ეშინიათ, ვაი თუ სადისპანსერო ორგანიზაციებმა დაჰკარგონ თავისი სახე ან შესწყვიტონ არსებობა. არავითარი საფუძველი არ არის ასეთი შიშისათვის. ორატორების უმრავლესობა საჭიროთ სთვლის სამკურნალო დაწესებულებების პროფილაქტიური სულით გაჟღენთვას. აქ ჩვენ მოვიგონეთ, რომ ივანოვო-ვოზნესენსკში გაერთიანება უკვე გატარებიათ.

ჩვენი უმთავრესი მიზანია შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაჯანსაღება. ჩვენ არ შეგვიძლია შემოვფარგლოთ მუშაობა მხოლოდ ტუბერკულოზით. ცნობილია, რომ თითქმის ყველა ავადმყოფობას აქვს სოციალური მიზეზები. როგორ უნდა განხორციელდეს ეს გაერთიანება? ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ ფუნქციების გაერთიანებაზე.

ყრილობამ უნდა გამოიმუშაოს ზოგადი ხასიათის დირექტივები. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვადასხვა რესპუბლიკების და ადგილების თავისებურებანი; უნდა მივცეთ იმისი გარანტია, რომ პროფილაქტიური მუშაობა კიდევ უფრო გაღრმავდეს, უნდა გამოვიმუშაოთ სწორი დირექტივები, რათა მომავალში თავიდან ავიშოროთ ყოველგვარი გადახრანი და შეცდომები ადგილებზე.

კამათის დასრულების შემდეგ პრეზიდიუმის სახელით თავმჯდომარე იძლევა წინადადებას, რათა საორგანიზაციო საკითხში სათანადო რეზოლუციის გამოტანა მიენდოს სპეციალურ საორგანიზაციო კომისიას.

მუშაობა სექციებში

20 სექტემბერს საღამოს და 21-ს დილით გამართა სხვადასხვა სექციების სხდომები.

კლინიკურ სექციაში მოსმენილი იქნა პროფესორ კისელის, ექიმ მარკუზონის, ექიმ პოხიტონოვის, ექ. სავატინსკაიას, ნიკიტინის, კუდრიავცევის და ხანეიშვილის მოხსენებანი ბავშვთა ტუბერკულოზის შესახებ. ექ. ხლებნიკოვის, ექ. ხმელნიცკის, ექ. ვოზნესენსკის, ბასინკოს, სამოილოვიჩის, კერმანის მოხსენებანი ტუბერკულოზის კლინიკური მიმდინარეობის, მკურნალობის და სხვადასხვა გართულებების შესახებ.

სოციალ-ჰიგიენურ სექციაში მოსმენილი იყო შემდეგი მოხსენებები: ექ. მილტანოვსკის (კრასნოდარი) ტუბერკულოზი ჩრდილოეთ-კავკასიის ეროვნულ უმცირესობათა შორის, ექ. ბერლინის—ტუბერკულოზიან ავადმყოფების აღრიცხვის შესახებ, ექ. ბოროდინის და ექ. ბეილინის ჭლექიან ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ და სხვ.

ექსპერიმენტალურ და პათოლოგო-ანატომიურ სექციაში მოსმენილი იყო ექ. შვეცკოს, ანდრეევის, ტრიუსის, მოდელის, ელიავას და სხვ. მოხსენებანი.

ყრილობის დახურვა

21 სექტემბრის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს ექ. ეფიმოვი. ყრილობა ისმენს სხვადასხვა კომისიებში შემუშავებულ რეზოლუციებს ყრილობაზე განხილულ საკითხების გარშემო. განხილული და დამტკიცებული იქნა 20-დე რეზოლუცია.

ამხ. სემაშკოს რიგ გარეშე განცხადება

ამხანაგებო, ამჟამად ჩვენს ყრილობაზე იმყოფება აღმოსავლეთ-ევროპის შესწავლის საზოგადოების თავმჯდომარე შმიდტ ოტტო, რომელიც 35 წლის განმავლობაში ემსახურება ტუბერკულოზთან ბრძოლის საქმეს. გარდა ამისა ის უკანასკნელ წლებში გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად. უსურვოთ წარმატება მის მოღვაწეობას მეცნიერების ინტერნაციონალურად დაახლოების დარგში. (ტაში).

შმიდტ ოტტოს საპასუხო სიტყვა

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ყრილობას გულწრფელი შეხვედრისათვის. ტუბერკულოზთან ბრძოლის სოციალური მხარე ისევე აღვივებს გერმანის მეცნიერებს, როგორც თქვენ. მე გაოცებული ვარ ყრილობის ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობით. ყველა ქვეყნების მეცნიერთა კავშირი გაარღვევს საზღვარს სახელმწიფოთა შორის. გაუმარჯოს ხალხთა დაახლოვებას და მეცნიერების აყვავებას.

მეხუთე ყრილობის მომწვევი ბიურო

რეზოლუციების მიღების შემდეგ ყრილობა ირჩევს მე-5 სატუბერკულოზო ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს. ბიუროს პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან: რუსეთიდან—მუნბლიტი, ვორობიოვი, შიფმანი, მოლჩანოვი, ეინისი, კადინსკაია, ბარადინა, მარკუზონი, ბოროკი, შრანსონი, მარინჩიკოლსკი, გოლფარბი, პოლიანოვი, ბერლინი. უკრაინიდან—ფაინშმიდტი, მეერსონი, მოროზოვსკი, კუშნარიოვი, ტრახტმანი, როზენბლიტი, იახნისი. ამიერ-კავკასიიდან—ნაზარეთიანი, საგინიანი, გასანოვი, საბჭოთა ბელორუსიიდან—მარშაკი. უზბეკისტანიდან და თურქმენისტანიდან—თითო წარმომადგენელი.

საორგანიზაციო ბიუროს პრეზიდიუმს ყრილობამ დაავალა გამართვის დრო და ადგილი მომავალი ყრილობის მოწვევისა.

ამხ. სემაშკოს სიტყვა

საბოლოო სიტყვას ყრილობის მუშაობის შედეგების შესახებ ამბობს ამხ. სემაშკო, რომელსაც მთელი დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

ყრილობის შედეგები ორ მხარეს ეხება,—ამბობს ის, სამეცნიეროს და ორგანიზაციულს. ორივე ამ დარგში ყრილობამ აღნიშნა, როგორც თავისი მიღწევები, ისე ნაკლულოვანებანი.

ამხ. სემაშკო დაწვრილებით ჩერდება საორგანიზაციო საკითხებზე. სხვათა შორის აღნიშნავს, რომ მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანატორიულ ამშენებლობის ფართოდ დაყენებას. შემდეგ ორატორი ეხება ყრილობის შემდეგ პერიოდის მუშაობის პერსპექტივებს და აღნიშნავს, რომ საორგანიზაციო ბიურომ თვალყური უნდა ადევნოს ყრილობის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ბოლოს ამხ. სემაშკო მიმართავს ყრილობას წინადადებით 40 წლის იუბილე გადაუხადოს საბჭოთა რუსეთში სატუბერკულოზო საქმის ორგანიზატორს დაუღალავ მუშაკს ამხ. მუნბლიტს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საზოგადოებრივ მუშაობას და მუდამ სახელოვნათ ემსახურებოდა მშრომელი ხალხის ინტერესებს.

დასასრულ, ნება მომეცით უღრმესი მადლობა გამოუცხადო საბჭოთა საქართველოს მთავრობას და მის წევრს ამხ. კუტაიძეს სტუმართმოყვარეობისათვის და გულითადი მიღებისათვის. აგრეთვე მადლობა ყველა ადგილობრივ მუშაკებს, რომლებიც ენერგიულ დახმარებას უწევდენ ყრილობას".—(ხანგრძლივი ტაში).

ამხ. კუტაიძის სიტყვა

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სახელით მადლობას უცხადებს მეოთხე საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობას, რომელიც შეიკრიბა საბჭოთა საქართველოს დედა ქალაქში.

გაუმარჯოს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო სრულიად საკავშირო ფრონტს! გაუმარჯოს სატუბერკულოზო ყრილობას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მთავრობას! გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას!

მე-4 სატუბერკულოზო ყრილობას დახურულად ვაცხადებ".

(ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს").

ყრილობის დახურვის შემდეგ სახელმწიფო ოპერის თეატრში დელეგატებისათვის გაიმართა ბალეტი.

ყრილობის ქრონიკა

— მეოთხე საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობას დაესწრენ: საბჭოთა რუსეთიდან 448 დელეგატი, უკრაინიდან—256, ამიერ-კავკასიიდან—174, ბელორუსიიდან—21 დელეგატი.

— ყრილობამ მიიღო მისასალმებელი დეპეშა პარიზის პასტერის სახელობის ინსტიტუტისაგან.

— ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა: ექ. კალმეტს, რომელმაც შეიმუშავა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა.

— პროფესორ ვორობიოვს სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობის 40 წლის თავის აღსანიშნავად ყრილობამ გაუგზავნა მას მილოცვის დეპეშა რომში, სადაც ის ამჟამად იმყოფება.

ყრილობის შედეგები

საუბარი ამხ. სემაშკოსთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარმა შემდეგი განაცხადა საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობის შედეგების შესახებ.

მე-4 სატუბერკულოზო ყრილობის შედეგები ეხება ორ დარგს—სამეცნიერო და საორგანიზაციოს. ერთშიაც და მეორეშიაც ყრილობა შეეცადა აღენუსხა ჩატარებული მუშაობა სამი წლის განმავლობაში, აღენიშნა მიღწევები და ნაკლულოვანებანი და გაეთვალისწინებინა გზები დეფექტების თავიდან ასაშორებლად.

საორგანიზაციო დარგში ყრილობამ გადახაზა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა რგოლები და აღნიშნა კონკრეტულად, თუ როგორი უნდა იქნას გაუმჯობესებული მუშაობა ამ დარგში.

დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ღამის სანატორიუმებისათვის ქარხნებში სამწყებად მუშაობა. ცნობილია, რომ ღამის სანატორიუმებში მოდიან მუშები მუშაობის დასრულების შემდეგ, იცვლიან ტანსაცმელს, წესიერად იკვებებიან, სძინავთ ჰიგიენურ პირობებში, ხოლო დილით საუზმის შემდეგ ისევ სამუშაოს უბრუნდებიან. სამწყებად მუშაობა ხელს უშლის მუშას რაციონალურად გამოიყენოს სანატორიუმის რეჟიმი. ყრილობამ დაავალა საკავშირო რესპუბლიკების ჯანსახკომებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ საქმის ამ მხარეს და მიიღონ ზომები ამ დაბრკოლების თავიდან ასაშორებლად.

მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებას საორგანიზაციო საკითხში წარმოადგენს დადგენილება გეგმიან სანატორიულ მუშაობის შესახებ. ამჟამად შემჩნეულია, რომ ჯანმრთელობის ორგანოებიც კი ხშირად იჩენენ აღმშენებლობას არა საკმარისი გეგმით. რაც შეეხება სხვა ორგანიზაციების აღმშენებლობას, იგი სწარმოებს იმ გვარად, რომ არავითარი კავშირი არ არსებობს ჯანმრთელობის განყოფილებათა აღმშენებლობასთან. ყრილობამ დაადგინა, რომ ყოველივე ახალი სანატორიული აღმშენებლობა სწარმოებდეს ჯანმრთელობის განყოფილებათა გეგმასთან შეთანხმებით და უკანასკნელების კონტროლის ქვეშ.

საორგანიზაციო საკითხების შესახებ გამოტანილ რეზოლუციებშივე ყრილობა შეეხო ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მუშაობის სხვა მტკივნეულ საკითხებზე, როგორიცაა არის მძიმე ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია, სანატორიუმების ზედმეტათ დატვირთვა (ყრილობა დაჟინებით მოითხოვს ჭლექიან ავადმყოფთათვის საავადმყოფოების გახსნას), ბრძოლა ტუბერკულოზის გამავრცელებელ ბუდეების წინააღმდეგ, ტუბერკულოზით დაავადებულთა იზოლიაცია, ბავშვთა ტუბერკულოზი (ბავშვთა ტუბერკულოზის მკურნალობა დღემდის მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს, რადგან სათანადო ყურადღება არ აქვს მიქცეული ამ საქმეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების—პროფკავშირების, დამზღვევ სალაროების და სხვების მხრივ).

სამეცნიერო დარგში ყრილობამ უწინარეს ყოვლისა ჯამი გაუკეთა სატუბერკულოზო ინსტიტუტების მუშაობას. ყრილობამ დაადგინა, რომ ამ ინსტიტუტებმა უნდა უხელმძღვანელონ დისპანსერების, სანატორიუმების და სხვა სატუბერკულოზო დაწესებულებათა პრაქტიკულ მუშაობას. ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა ფართოდ იქნას დაყენებული ტუბერკულოზთან ბრძოლის დარგში სპეციალისტების მომზადების საქმე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყრილობის დადგენილებას სატუბერკულოზო ორგანიზაციების მიერ კურორტებზე მყოფ ჭლექიან ავადმყოფების მკურნალობის საქმის ხელმძღვანელობის შესახებ. დღემდის საკურორტო საქმე განცალკევებულად იდგა სატუბერკულოზო ორგანიზაციებიდან. ყრილობამ აღნიშნა რა ეს არანორმალური მოვლენა, დაადგინა, რომ ჭლექიან ავადმყოფების მკურნალობას კურორტებზე სატუბერკულოზო ორგანიზაციებმა უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა. ეს ძალიან აფართოვებს ტუბერკულოზთან ბრძოლის ბაზას, ვინაიდან თვითეულ საბჭოთა რესპუბლიკას კურორტებზე აქვს რამდენიმე ათასი საწოლი ჭლექიან ავადმყოფთათვის.

როგორც ჩამოთვლილ საკითხების განხილვიდან სჩანს, ყრილობა წარმოადგენს უდიდეს ეტაპს ტუბერკულოზთან ბრძოლის საქმეში.

ჭლექისაგან სიკვდილიანობა უკვე თვალსაჩინოთ შემცირდა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებში (მოსკოვში სიკვდილიანობა ორჯერ შემცირდა ომის წინა დროსთან შედარებით). ეჭვს გარეშეა, რომ ყრილობა დააჩქარებს ტუბერკულოზისაგან სიკვდილიანობის შემცირების პროცესს და გააუმჯობესებს ბრძოლას კაცობრიობის ამ საშინელი მტრის წინააღმდეგ.

გურიის პარტორგანიზაციის მუშაობა

საკ. კომპ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებულმა პრეზიდიუმმა, მოისმინა რა საქართველოს კომპარტიის (ბ) ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის მდივნის ამხ. ზარამიძის მოხსენება და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის თანამოხსენება, აღნიშნა შემდეგი:

პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესების მეოხებით და იმის გამო, რომ მაზრას მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაუწიეს ცენტრალურმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე მაზრის საერთო ეკონომიური და კულტურული დაწინაურების გამო (ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა, აბრეშუმის ამომხვევი ქარხნის აგება, ჩაის კულტურის გაფართოვება და სხვ.), უკანასკნელ წლებში მაზრაში პარტიის გავლენა გაძლიერდა.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ მაზრაში მენშევიკების ორგანიზაციულ დაშლას, რაც წარმოადგენს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის შედეგს და აიხსნება აგრეთვე პარტიული მასის იდეური შეიარაღებით მაზრაში მენშევიკური გავლენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა აგრეთვე აღნიშნავენ იმ დიდ მუშაობას, რომელიც ჩაატარა ოზურგეთის ორგანიზაციამ ბრძოლაში უკლონისტურ-ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ.

ჩატარებულია მუშაობა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის და კოლექტიურ მეურნეობებისათვის კრედიტების მიწოდების გასაფართოვებლად, მიღწევები აქვს სამომხმარებლო კოოპერაციას (კოოპერაციაში ჩაბმულია მეურნეობათა 74.8 პროცენტი), სასკოლო ქსელი თითქმის სავსებით საკმაოა ახალგაზრდობისათვის, არის მიღწევები რევოლუციონური კანონიერების განმტკიცების დარგში, ერთგვარ გაუმჯობესებას აქვს ადგილი სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობაში.

ამასთან ერთად ოზურგეთის ორგანიზაციის მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დიდ დეფექტებს, რომელთაგან ძირითადი შემდეგია: ჯერ კიდევ სუსტი არის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობა როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა და პროფესიონალური ხაზით, სათანადო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა ყოფილი მენშევიკებისა და ეგრედწოდებული „ახალგაზრდა მარქსისტების" შორის, აგრეთვე საერთოდ პარტაღმზრდელობითი მუშაობაც. საბჭოთა აპარატის მუშაკთა ხელმძღვანელი შემადგენლობა სუსტია როგორც ხარისხობრივად, ისე რიცხვობრივად. აგრეთვე საკმაოდ არ არის შესრულებული პარტიის დირექტივა თვითკრიტიკის შესახებ, სუსტია მასიური მუშაობა ქალაქში და სოფლად, განსაკუთრებით პროფორგანიზაციების მუშაობა, საკმაოდ არ არის განვითარებული კოოპერატიული საზოგადოებრიობა, მეტად სუსტი მუშაობა ღარიბი გლეხობის შორის.

გამოდის რა აქედან, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ოზურგეთის ორგანიზაციას თავის შემდგომ მუშაობაში იხელმძღვანელოს შემდეგით:

1. სამაზრო კომიტეტის შემდგომ მუშაობაში უნდა გაგრძელდეს სისტემატიური ორგანიზაციული და გაღრმავებული იდეოლოგიური ბრძოლა მაზრაში მენშევიზმის გავლენის წინააღმდეგ.

2. ვინაიდან ოზურგეთის გლეხობა სუსტად უზრუნველყოფილია მიწით და ვინაიდან მეურნეობათა უმრავლესობა ხელმოკლეა, სოფლის მეურნეობის შემდგომ გაფართოება უნდა ეყრდნობოდეს შრომის ტევად კულტურების, კერძოდ ჩაის კულტურის, განვითარებას.

ა.-კ. საოლქო კომიტეტისა და საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას გაერთიანებული პრეზიდიუმი აღნიშნავს, იმ ფაქტს, რომ ოზურგეთის ორგანიზაციას საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევს კოლმეურნეობათა მშენებლობას და რომ კოლმეურნეობებში სუსტია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა. ამიტომ გაერთიანებული პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის პარტხელმძღვანელობის გაძლიერებას კოლმეურნეობათა მშენებლობაში, მეტი ყურადღების მიქცევას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობისა და კოლმეურნეობათა სოციალურ შემადგენლობისადმი და მუშაობის მოგვარებას სიცოცხლის უნარიან გაერთიანებებისათვის კრედიტების მიწოდების საქმეში.

ვინაიდან გლეხების მხრივ დიდია მოთხოვნილება მანქანებზე, როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა—სამაზრო ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას სოფლისათვის მანქანების მიწოდების ტემპი, აგრეთვე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საცდელი მინდვრების მოწყობას და მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული თესლეულის მიწოდებას.

ა.-კ. საოლქო კომიტეტისა და საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას გაერთიანებული პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მაზრაში სრულებით არ სწარმოებს მუშაობა მიწათმოწყობის დარგში; ამიტომ გაერთიანებულ პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ უახლოეს დროში როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველი ზომა მიიღონ მიწათმოწყობის ტემპის გასაძლიერებლად და ამ მიზნით შექმნან მუშაკების (აგრონომების, მიწისმზომელების და სხვ. სათანადო კადრი.

3. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი და საქართვ. კომპარტიის (ბ) ცეკა, აღნიშნავენ, რა მეტად სუსტ მუშაობას და კონტროლს მიწის ყიდვა-გაყიდვის საკითხში, წინადადებას აძლევენ სამაზრო კომიტეტს მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად და პირველ რიგში ულმობელი ბრძოლა აწარმოოს იმ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მიწის ყიდვა-გაყიდვაში ან ხელს უწყობენ ამას.

საჭიროა მიღწეულ იქნას გადამჭრელი გარდატეხა ღარიბი გლეხობის შორის მუშაობის დარგში, უნდა მოგვარებულ იქნას ღარიბი გლეხობის ჯგუფების მოწყობა და მუშაობა საბჭოებთან, გლეხკომებთან, საკრედიტო ამხანაგობებთან და სხვ.

მაზრის პარტორგანიზაციებმა ხელმძღვანელობა და კონტროლი უნდა გაუწიონ კრედიტების სოციალურ მიმართულებას.

ვინაიდან მეტად სუსტია მუშაობა გლეხკომებთან, დაევალოს სამაზრო კომიტეტს მიიღოს გადამჭრელი ზომები გლეხკომების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

4. სამაზრო აღმასკომის მუშაობაში საჭიროა:

ა) დამყარებულ იქნას გეგმიანობა სამაზრო აღმასკომის განყოფილებების და თემაღმასკომების მუშაობაში;

ბ) გაცხოველებულ იქნას საბჭოების მასიური მუშაობა;

გ) განმტკიცებულ იქნას მუშაობა საბჭოების სოციალური შემადგენლობის შესასწავლად და გასაუმჯობესებლად და საბჭოებში ჩაბმულ იქნას სოფლის აქტივის კადრები;

დ) დაუშვებლად ჩაითვალოს მოსახლეობის დაბეგვრა ბიუჯეტის ადმინისტრატიული ხარჯების (41.000 მან.) დასაფარავად და საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა. ვინაიდან ადგილი აქვს ერთეულ ფაქტებს, როდესაც თემში პასუხისმგებელი მუშაკები მალავენ დაბეგვრის ობიექტებს, სამაზრო კომიტეტს წინადადება მიეცეს გადაჭრით ებრძოლოს ამ მოვლენას და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს პარტიული და სასამართლოს ხაზით.

5. საორგანიზაციო-პარტიულ მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედების მდივნებისათვის ინსტრუქციების მიწოდებას, რისთვისაც საჭიროა მოწვეულ იქნას რეგულარული თათბირები, მოეწყოს მოკლევადიანი კურსები და აგრეთვე დამყარდეს ცოცხალი კავშირი ადგილებთან.

სამაზრო ორგანიზაციების წინაშე სდგას პოლიტიკური და პარტიული აღმზრდელობითი მუშაობის სისტემატიურად გაღრმავების ამოცანა როგორც პარტაქტივის, ისე მაზრის მთელი პარტიული მასის პოლიტიკური დონის აწევის მიზნით.

მაზრის პარტორგანიზაციის ძირითადი და გადაუდებელი ამოცანაა—გააფართოვოს და გაღრმავოს მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე.

საქალაქო და ოზურგეთის მახლობლად მდებარე თემების ორგანიზაციებს ხელმძღვანელობა უშუალოდ უნდა გაუწიოს სამაზრო კომიტეტმა და გაუქმებულ უნდა იქნას ოზურგეთის საქალაქო კომიტეტი.

პარტიულმა უჯრედებმა ახლო მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ კონკრეტული საკითხების განხილვასა და გადაჭრაში, რომლებიც დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან, რისთვისაც წესად უნდა შემოიღონ საჯარო სხდომების პერიოდულად მოწვევა და ამ სხდომებზე უნდა მიიზიდონ გლეხთა აქტივი.

სოფლის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარშემო უნდა შეიქმნას გლეხთა აქტივის კადრები და ამ აქტივზე დაყრდნობით უნდა გაფართოვებულ იქნას ნამდვილი მასიური მუშაობა მაზრის გლეხობის ფართო ფენებში.

სამაზრო კომიტეტმა და სათემო კომიტეტებმა წესად უნდა შემოიღონ საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების ანგარიშების რეგულარულად მოსმენა და მოაგვარონ ამ ორგანიზაციებში ფრაქციების მუშაობა. ანგარიშების მოსმენის შემდეგ ყველა ორგანიზაციას უნდა მიეცეს კონკრეტული პრაქტიკული დირექტივები ამ ორგანიზაციების მუშაობის.

ვინაიდან სუსტია მუშაობა სამაზრო კომიტეტის დირექტივების შესრულების შემოწმების დარგში, სამაზრო კომიტეტს წინადადება მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშაობის ამ მხარეს.

სამაზრო კომიტეტს პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს ხელმძღვანელობის გაწევა მაზრის ახალგაზრდობის შორის მუშაობისათვის, ახალგაზრდობაში პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და ამ ახალგაზრდობის კადრების ჩაბმა პრაქტიკულ საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსწავლე ახალგაზრდობაში მუშაობას.

აღინიშნოს, რომ ქვედა-სათემო პარტიულ ორგანიზაციების უმრავლესობაში არ დამუშავებულა თვითკრიტიკისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხები და პარტიის სხვა უმნიშვნელოვანესი დირექტივები. შემდეგში მთელ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დირექტივების ასრულების შემოწმების დარგში არსებული დეფექტების გამორკვევას და თვითკრიტიკის საქმეში გლეხობის ფართო პარტიული და უპარტიო მასების ჩაბმას.

ამასთან ერთად უნდა დაწყებულ იქნას გაძლიერებული ბრძოლა უჯრედის შინაპარტიული ცხოვრების მტკივნეული მოვლენების წინააღმდეგ, როგორიცაა: უჯრედის კრებებზე პარტიის წევრების დაუსწრებლობა, საწევრო გადასახადების თავის დროზე შეუტანლობა, უჯრედების კრებების არარეგულიარულად მოწვევა და სხვ.

ვინაიდან ლანჩხუთის ორგანიზაციაში ადგილი აქვს სერიოზულ მტკივნეულ მოვლენებს, საჭიროდ ჩაითვალოს ამ ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობის შემოწმება.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მუშაობას ინტელიგენციის შორის (განსაკუთრებით მაზრის მასწავლებლების შორის) ხელმძღვანელი ორგანიზაციების მიერ მოცემული დირექტივების ნიადაგზე.

ვინაიდან აბრეშუმის ამომხვევ ფაბრიკაში სუსტია მასიური მუშაობა, სამაზრო კომიტეტს წინადადება მიეცეს გააძლიეროს ფაბრიკაში პროფესიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგენლობა, მოაგვაროს საწარმოო თათბირების მუშაობა, სადელეგატო კრებების მოწვევა, საკლუბო მუშაობა და სხვ.

6. ოზურგეთის გლეხობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით საჭიროა: საბჭოთა წიგნის ფართოდ გავრცელება სოფლად სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის გაცხოველება, სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების გარშემო სოფლის კულტურული ძალებისა და გლეხობის ფართო ფენების დარაზმვა, კინოფიკაციის გაძლიერება და რადიო-დადგმულობათა ქსელის გაფართოვება.

7. თუმცა სკოლების ქსელი თითქმის სავსებით საკმაოა ახალგაზრდობისათვის, მაგრამ ამასთანავე აღინიშნოს, სასკოლო მუშაობის სუსტი ხარისხი, განსაკუთრებით სუსტი მუშაობა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში.

სამაზრო ხელმძღვანელ ორგანიზაციებს და აგრეთვე საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს დაევალოს სპეციალურად შეისწავლონ საკითხი სამაზრო სასკოლო მუშაობის გაუმჯობესებისა და პედაგოგიური შემადგენლობის კადრების გაძლიერების შესახებ.

8. სამაზრო კომიტეტმა მთავარ ამოცანად დაისახოს უფრო ყურადღებით და ყოველმხრივ მომზადება საბჭოების მომავალი გადარჩევისათვის, ამასთანავე სამაზრო კომიტეტმა მხედველობაში უნდა მიიღოს განვლილი საარჩევნო კამპანიების დეფექტები.

9. ვინაიდან აღსანიშნავია ქალთა რიცხვის შემცირება საბჭოებში და თემის სხვა ორგანიზაციებში, საჭიროა მომავალში გაძლიერებულ იქნას ქალების ჩაბმა სოფლის და თემის საბჭოთა, კოოპერატიულ, ნებაყოფლობით და სხვა ორგანიზაციებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობას და ქალების დაწინაურებას პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში (კერძოდ აბრეშუმის ამომხვევ ფაბრიკაში).

10. გაძლიერებულ იქნას ოზურგეთის ორგანიზაცია პასუხისმგებელი მუშაკების კადრით, განსაკუთრებით საბჭოთა მუშაობის ხაზით.

11. დაჩქარებულ იქნას საერთო-სამაზრო მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაჭრა (ჭაობების ამოშრობა, მდინარეების ნაპირობის გამაგრება, ტყეების ექსპლოატაცია). (ადს).

26 კომუნარის დახვრეტის ათი წლის თავი

თბილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა

20 სექტემბერს საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში 26 კომუნარის ხსოვნის აღსანიშნავად შესდგა თბილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებთან, პროფესიონალურ და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. სხდომა გახსნა თბილისის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვანო ბოლქვაძემ, რომელმაც სხდომას მიმართა შემდეგი სიტყვით:

ამხანაგებო! სწორედ 10 წლის წინედ მენშევიკების, დაშნაკელების, ესერების და მუსავატელების ბანდამ ინგლისის იმპერიალიზმს დახმარებით ახჩაკუმის უდაბნოში დახვრიტა სოციალიზმისათვის 26 თავდადებული მებრძოლი. ამ საზიზღარი და მხეცური მკვლელობით ისინი ფიქრობდნენ, რომ სამუდამოთ ჩაახშობდნენ რევოლუციონურ მოძრაობას ამიერ-კავკასიაში, მაგრამ ანგარიში შეეშალათ. გმირულად დაღუპულთა ძვლებზე და მაგალითზე გაიზარდნენ და იზრდებიან ათი ათასობით რევოლუციონერები, რომლებიც აგრძელებენ და შემდეგშიაც განაგრძობენ მათ დაწყებულ საქმეს.

სამუდამო ხსოვნა კომუნიზმისათვის მებრძოლთ. (ხალხი ფეხზე დგება და მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს).

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

შემდეგ სიტყვას ამბობს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე.

ამხანაგებო! დღევანდელი დღე, ბაქოს 26 ამხანაგის დახვრეტიდან 10 წლის თავი, ჩვენ გვავალებს გავიხსენოთ ის პირობები, რომლებშიაც უხდებოდათ მათ ბრძოლა და მოღვაწეობა ამიერ-კავკ. საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ამხ. ფილიპე მახარაძე ვრცლად ეხება ამიერ-კავკასიაში რევოლუციონურ ბრძოლის ეტაპებს, მენშევიკების, დაშნაკელების, მუსავატებისა და ესერების მოღალატურ მოღვაწეობას და კომუნისტურ პარტიის ბრძოლის ისტორიას.

ბაქოს საბჭოს უკანასკნელ ისტორიულ სხდომაზე, განაგრძობს ამხანაგი ფ. მახარაძე რომელზედაც დაშნაკელები, მუსავატელები და ესერები გადაჭრით მოითხოვდნენ ინგლისის იმპერიალისტების მოწვევას, კომუნისტურმა პარტიამ ამხ. შაუმიანის და ჯაფარიძის სახით გაბედულად გაილაშქრა მათ მოღალატურ პოლიტიკის წინააღმდეგ და შეუდგა ბრძოლას მშრომელთა ფართო მასის დასარაზმავად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ისტორიისაგან განწირვის პირზე მდგარმა პარტიამ კარგად იცოდნენ, თუ რა ძალას წარმოადგენდა მათ წინააღმდეგ ამხ. შაუმიანი, ჯაფარიძე, აზიზბეკოვი, ფიოლეტოვი და სხ. ამხანაგები და ამიტომ გადასწყვიტეს მათი ვერაგულად დაღუპვა. ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების დახმარებით ისინი შეუდგნენ განზრახვის სისრულეში მოყვანას. და აპატიმრეს ყველანი, წაიყვანეს კრასნოვოდსკში და ჩასვეს საგანგებო მატარებელში, მატარებელი, რომელშიაც იყვნენ კომუნიზმისათვის თავდადებულნი, არსად შეჩერებულა ისე სტოვებდა ერთი მეორეზე სადგურს, სანამ არ მიაღწია დანიშნულ ადგილს.. ეს ადგილი იყო კასპიის იქითა მხარის მიყრუებული ველი, სადაც ჯალათებმა ჯგუფ-ჯგუფად გადმოიყვანეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, რიცხვით 26 კაცი, მხეცურად აწამეს, ნაკუწ-ნაკუწად აკაფეს და შემდეგ ჩაყარეს ისინი საერთო ორმოში, ისე რომ მიწაც არ გადააყარეს ხეირიანად. ეს გაუგონარი მხეცობა და საზიზღრობა მოხდა 1918 წლის 19—20 სექტემბერს.

მკვლელებმა კარგად იცოდნენ, თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინეს მშრომელი ხალხის წინაშე და, რომ მათი რისხვა თავიდან აეცილებიათ თავიანთი გაზეთების საშუალებით გაავრცელეს ხმები, თითქოს ისინი გადააგზავნეს სპარსეთით ინდოეთში.

ამ ხმებს ისე დაბეჯითებით აერცელებდნენ, რომ რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო და ცენტრალური კომიტეტი ჩვენი პარტიისა დიდხანს ეძებდა მათ კვალს, მაგრამ ყოველგვარი ცდა მათი პოვნისა ამაო იყო.

შემდეგ გამოირკვა ეს საზიზღრობა და ფარდა აეხადა მათ ჯალათურ მოღვაწეობასაც.

ადრე თუ გვიან—ათავებს თავის მოხსენებას ამხ. ფ. მახარაძე,—26 კომუნარის ჯალათები წარსდგებიან რევოლუციონურ სასამართლოს წინაშე. ადრე თუ გვიან პროლეტარიატი ცეცხლითა და მახვილით განადგურებს იმპერიალიზმს ათას თავიან გველს და დროშას, რომელსაც ასე გმირულად შესწირა თავი 26 ბაქოელმა ამხანაგმა, აფრიალებს მთელ მსოფლიოში.

დიდება დაღუპულებს! სირცხვილი და ზიზღი იმპერიალიზმის ლაქიებს და 26 კომუნარის ჯალათებს! (მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

ამხ. სემაშკოს სიტყვა

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების შემდეგ რუსეთის მთავრობის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. სემაშკო.

ამხანაგებო! მიუხედავათ ყველა იმ დაბრკოლებათა, რომელიც გამოიარა საბჭოთა კავშირმა ამ 10—11 წლის განმავლობაში, მიუხედავათ მუშათა კლასის საუკეთესო შვილების დაღუპვისა, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ისე დაამარცხეს ყველა მტრები, რომ შებლმაგრებს დიდი ხნის ფიქრი დასჭირდებათ ვიდრე გაბედავენ კიდევ ჩვენთან ბრძოლას. ჩვენ აღვადგინეთ დანგრეული მეურნეობა და ვაშენებთ და ავაშენებთ კიდევაც სოციალიზმს.

დღევანდელ დღეს ვიგონებთ რა ტრაგიკულად დაღუპულ 26 კომუნარს, ჩვენ კიდევ უფრო მეტი ენერგიით, მეტი გაბედულობით ვიბრძოლებთ სოციალიზმის დასამყარებლად და საბოლოო გამარჯვებისათვის.

მეოთხე სატუბერკულოზო ყრილობის დელეგაცია

სხდომაზე გამოდის მე-4 საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობის დელეგაცია შემდეგი განცხადებით:

„მენშევიკების, ესეროების, დაშნაკელების, მუსავატელების და ინგლისის იმპერიალიზმის წარმომადგენელთა მიერ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლების—26 კომუნარის დახვრეტიდან 10 წლის თავზე—მე-4-ე საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა, შეკრებილი საქართველოს დედა ქალაქში, თავს იხრის და თქვენთან ერთად გლოვობს დაღუპულ კომუნისტებს—მებრძოლებს კომუნიზმისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ყრილობა გულწრფელად აღიარებს, რომ ის სავსებით იზიარებს და იბრძოლებს იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც სდგას პროლეტარიატის წინაშე საბჭოთა სოციალისტურ მეურნეობის განსამტკიცებლად, ინდუსტრიის ასაყვავებლად და კულტურულ რევოლუციის მოსახდენად.

ყრილობის მთელი საქმიანი მუშაობა, რომელიც აერთიანებს მთელ საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერების მუშაკებს, გამსჭვალულია ერთი სურვილით—შექმნან საუკეთესო ფორმა და გამონახონ ახალი სამეცნიერო გზები ჭლექთან საბრძოლველად და ამით ხელი შეუწყოს მშრომელი ხალხის ჯანმრთელობას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ჭლექთან ბრძოლის ფართო პირობები და მე-4 საკავშირო სატუბერკულოზო ყრილობა ყოველმხრივ ცდილობს თავის მუშაობით ხელი შეუწყოს შემდეგში საბჭოთა ხელისუფლების კიდევ უფრო განმტკიცებას, ომის საფრთხის მომენტში, როცა იმპერიალისტური ქვეყნები ცდილობენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, შეაჩერონ მშრომელთა მშვიდობიანი აღმშენებლობა და სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც ჩვენ ეხლა ვაწარმოებთ, საბჭოთა ექიმი, როგორც ჯარისკაცი, თქვენთან—პროლეტარიატის რიგებში იქნება, ისე როგორც ეხლა ვართ საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად აღმშენებლობისა და კულტურის ფრონტზე.

შემდეგ სიტყვებს ამბობენ ამხ. ფილიპენკო, ს. დოლიძე, ალიევა და ტაკტიევი.

პროლეტ პოეტმა შაქრო ნავთლუღელმა წაიკითხა 26-სადმი მიძღვნილი ლექსი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი დირიჟორ ბროცკის ხელმძღვანელობით. კონცერტზე შესრულებული იქნა მხოლოდ 26 კომუნარისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი.

დეპეშა ბაქოს საბჭოს

თბილისის საბჭოს სამგლოვიარო სხდომამ დაადგინა, გაუგზავნოს ბაქოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა საბჭოს და ბაქოს მთელ პროლეტარიატს შემდეგი დეპეშა:

„თავდადებული რევოლუციონერების, ბაქოს კომუნის ხელმძღვანელების დაღუპვის 10 წლის თავზე თბილისის საბჭო თბილისის პროლეტარიატის სახელით აღთქმას სდებს, რომ შემდეგშიაც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად მტკიცედ გვეჭირება ხელში ის დროშა, რომლისთვისაც დაღუპნენ ბაქოს კომუნის დიდი წამებულნი.

გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატს!
გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!
გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას" (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა